საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ფაქტიურებით და ჭეშმარიტებით ბეჭდის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 18 აგვისტო. 2016 წ. №153 (8045), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მილიონები... გაუბედურებული მოქალაქეების ხარჯზე

4

პედერასტია დიდი ძალა ყოფილა!

9

მიწისქვეშა საქართველოს სენსაციური საიდუმლოებანი

6

თუ თურქეთმა ნატო დატოვა, აშშ ყველაფერს გააკეთებს საქართველოსა და უკრაინასთან სამხედრო თანამშრომლობის გასაღრმავებლად

8

დღეს, ტელევიზია „ქართული ტვ“-ით, ხვალ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“

„მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი“ აგრძელებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 12 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული პროგრამული დოკუმენტების შესაბამის მოქმედებებს.

დღეს, 18 აგვისტოს, ტელეკომპანია „ქართული ტვ“-ის პირდაპირი ეთერით, 17 საათზე, ხოლო ხვალ, 19 აგვისტოს, ფერიცვალებას, „საქართველოს რესპუბლიკაში“ დავიწყებთ მოსახლეობასთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან დათათბირებით შერჩეული ადამიანების სიების გამოქვეყნებას. ამ პროცესში ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება.

გმადლობთ თანამშრომლობისთვის.

ზრიელების და ერ რეკორდების... ერს სალბუნად დაედო...

10

მძლეოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ტალახაძე და ბრინჯაოს პრიზიორი ირაკლი თურმანიძე.

ბრინჯაოს პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში შმაგი ბოლქვაძე

დავით სერგეენკო:

„ავერსი“ ინფექციურ საავადმყოფოს ელემენტარული პირობების მოწესრიგების საშუალებას არ აძლევს

ინფექციური საავადმყოფოს მედიკოსების პროტესტს ეხმაურება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო. მისი განცხადებით, ინფექციურ საავადმყოფოში უმძიმესი ინფრასტრუქტურული მდგომარეობაა, თუმცა კომპანია „ავერსმა“ სახელმწიფოს ალტერნატიული შენობის აშენების საშუალება არ მისცა.

დავით სერგეენკოს თქმით, „ავერსი“ ინფექციური საავადმყოფოს სახელმწიფოს მიერ შეძენილი სამედიცინო აღჭურვილობის გამოყენების საშუალებასაც არ აძლევს.

„ბოლო სამი წლის განმავლობაში იყო მართლაც რთული პერიოდი. ვადასტურებ, რომ იქ მართლაც უმძიმესი ინფრასტრუქტურული მდგომარეობა არის. ბოლო წელიწად-ნახევარი, სამწუხაროდ, დაიხარჯა უშედეგოდ მოლაპარაკებაზე „ავერსთან“, რომ მათ მოეცათ საშუალება, სახელმწიფოს თავისი თანხებით აეშენებინა იმავე ტერიტორიაზე ალტერნატიული შენობა. ამის შემდეგ, ჩვენ წლის დასაწყისში შევიძინეთ სამედიცინო აღჭურვილობა, რომლის გარეშეც უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა ხარისხიანი მოვლა პაციენტების. ეს აღჭურვილობა კლინიკას უკვე მიწოდებული აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, მეპატრონე არ აძლევს იმის საშუალებას, რომ იქ ელემენტარული, კლინიკის ხარჯით ჩასატარებელი კოსმეტიკური სამუშაოები შესრულდეს და მოწესრიგდეს პირობები“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორია და შენობა-ნაგებობები „ავერსი ფარმამ“ რამდენიმე წლის წინ შეიძინა. სამედიცინო დაწესებულების მედპერსონალი სამუშაო პირობების არარსებობას აპროტესტებს და ამაში „ავერსი-ფარმას“ ადანაშაულებს.

ვინ დანიშნა გია ხუხაშვილი და ლევან ბერძენიშვილი პარლამენტარებად ასარჩევთა განმკითხავად?!

ეს ერთი ციცქნა, ცეროდენა ჟიჟილაშვილი ყრუ-მუნჯს აალაპარაკებს, მარტო ადამიანს კი არა, ყრუ-მუნჯ ეშმაკს... ენად გაკრეფილთ ხომ ცხრა ენას გამოაბამს, და შენც ასი ყური თუ არ გამოიბი, ორი ნამდვილად არ გეყოფა „TV-1"-ის არხის „რვიანის" ყურის მისადევნებლად.

დასტურ ასე დამემართა 16 აგვისტოს, ჩემდა ჭირად, ჟიჟილაშვილის „რვიანის" ცქერისას და სმენისას.

მართალი გითხრათ, ვისაც მე ვიცნობ, პირწმინდად ყველა ერთი აზრისაა როგორც ამ ძალად მაცხონე ექსერტ გია ხუხაშვილზე, ისე რატომღაც თავგასოკრატებულ ლევან ბერძენიშვილზე.

ერთიც და მეორეც თავს უფლებას აძლევს მთელი ქართველი საზოგადოების მსაჯულად და განმკითხავად მოგვევლინოს, და მხოლოდ თავისი შეფასებები მიიჩნიოს ბოლო ჭეშმარიტებად.

ამჯერად ხუხაშვილიც და ბერძენიშვილიც „ოცნების" სიით წამოყენებულ კანდიდატებსა და მაჟორიტარებს დაეტაკნენ. სიტყვა დატაკება ნამდვილად ვერ გამოხატავს იმ უხამსობასა და უშვერობას, რა სიტყვებიც იმათ დახარჯეს და უხვად დააფრქვიეს იმ საღამოს.

— ვთქვათ, მოხდა სასწაული და „ოცნებამ" უმრავლესობა მოიპოვა, ამ უცხვირპირო ხალხით ნამდვილად არ გვექნება პარლამენტი, ეს იქნება მთავრობის უსუსური დანამატი, — ამაყად აცხადებს ხუხაშვილი და თან ხელისგულზე იყურება, საყურე რომ ეკეთოს, ღმერთმანი, ნამდვილი ბოშაა, რომელიც, როგორც ჩანს, ხელისგულის ნაოჭებით კითხულობს „ოცნებისა" და მომავალი პარლამენტის ხვალინდელ დღეს.

„გულთმისანი" ხუხაშვილი „ოცნების" არც ერთ სიელს პარლამენტარობის ღირსად არ მიიჩნევს და გამარჯვების შემთხვევაშიც დამარცხებას უწინასწარმეტყველებს „ოცნებას".

ამავე შავი აზრისა ბრძანდება თავგასოკრატებული ლევან ბერძენიშვილიც, რომელსაც თავისი კარგა მოზრდილი თავის გარდა, ყველა უწიგნურად მიაჩნია... და, როგორც ჩანს, მომავალი პარლამენტი უწიგნურთა პარლამენტად წარმოუდგენია. ერთადერთი პარტია, რომელსაც პარლამენტში მოხვედრის ღირსად ხედავს, რესპუბლიკელები ვართო...

ერთი სიტყვით, ვინც იმ საღამოს ამ ნათელმხილველ ხუხაშვილსა და ბერძენიშვილს უყურა და უსმინა, ყველა მალემრწმენი ამომრჩეველი აუცილებლად უიმედობამ შეიპყრო, ხელი ჩააქნევინა და, ამ ქვეყანას არაფერი არ ეშველებაო, იმედგაცრუებულს ათქმევინა...

არადა, ვინ არის, ბატონებო, ეს ხუხაშვილი, რომელ ეკლესიაში ლოცულობს, რა იდეოლოგიას ნერგავს ხალხში? ანდა რამ გააყინჩა ასე უზომოდ ეს ჩვენი ენაბრტყელი თავგასოკრატებული პარლამენტარი, რომელსაც თავი ყოვლისმცოდნედ და პოლიტიკურ გულთამხილველად წარმოუდგენია და თავის გარდა ვერავის ვერ ხედავს საქართველოში?

რასაკვირველია, მისნობა ცუდი საქმე არ არის, ბატონო ხუხაშვილო და ბატონო ბერძენიშვილო, მაგრამ ნუთუ ვერავითარ უხერხულობას ვერ გრძნობთ, რომ ეს ორი მაინცდამაინც ბევრი არაფრით გამორჩეული პოლიტიკოსი ნამეტანი ყირაობთ, ნამეტანი ქედმაღლობთ, ნამეტანი გულთამხილველობთ და ნამეტანი თავს აჭარბებთ და, მართალი თუ გინდათ, ნამეტანი თავს აბეზრებთ საზოგადოებას?!

ისე, ნამეტანი ჭკუის დარიგებაზე ნუ ხართ გადასული. ცოტა თქვენთვისაც შეინახეთ. უთქვენოდაც არ აკლია ჩვენს ადომხლეებულ საზოგადოებას უმჭკუობა!...

ბოდიში, ჭკუით ბრძანდებოდეთ!

გურამ წიკლაური.

P. S. ხან გულუბრყვილოდ იმასაც კი ვფიქრობ, იქნებ სულაც არა გვჭირდება არც მთავრობა და არც პარლამენტი, პრეზიდენტზე აღარაფერს ვამბობ, ავდგეთ და ეს ჩვენი საწყალი საქართველო სულაც ამ გულთამხილველ ხუხაშვილსა და ბერძენიშვილს ჩავაბაროთ (წარმოიდგინეთ, რამხელა ეკონომიას გასწევს ჩვენი ღარიბი ქვეყანა!) რახან ყველაფერი იციან, ცხადია, პასუხსაც შესაბამისად აგებენ.

გ.გ.

„თუ არ წახვალ არჩევნებზე, შენ ვერ დასჯი პოლიტიკოსს და ვერ შეცვლი კლიშეს"

„შენი ხმა ჩვენი მომავალია" — საქართველოს პრეზიდენტი ამომრჩეველთა აქტიურობის გასაზრდელად კამპანიას აგრძელებს. გიორგი მარგველაშვილი კამპანიის ფარგლებში ქობულეთში საზაფხულო სკოლის მონაწილეებს შეხვდა. პრეზიდტმა ახალგაზრდებს არჩევნებში მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე ესაუბრა და აღნიშნა, რომ არჩევნებში თანამონაწილეობის მოწოდებით საზოგადოების ჩართულობა და დემოკრატიის გაჯანსაღება ხდება.

კამპანიის მიზანი არჩევნებში ახალგაზრდების ჩართულობისა და სამოქალაქო აქტივობის გაზრდაა. საზაფხულო სკოლა 7 დღის განმავლობაში ტრენინგებსა და სხვადასხვა აქტივობებს მოიცავს. ის საქართველოს 9 რეგიონში მიმდინარეობს.

ზომიერება არ დავკარგოთ!

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი აბაშიშვილი მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, დაუბრუნდნენ კვალიფიციურ საარჩევნო პროცესს.

„კვლავ დავკარგეთ ზომიერება. კერძოდ, „ქართული ოცნების" და ნაციონალური მოძრაობის მხრიდან გაკეთდა ისეთი ტიპის განცხადებები, რომელმაც შესაძლებელია, გამოიწვიოს ცესკოს დისკრედიტაცია, რაც დაუშვებელია. პრობლემა არის მოგვარებული. შესაბამისად, მოვუწოდებთ პოლიტიკურ პარტიებს, დაუბრუნდნენ კვალიფიციურ საარჩევნო პროცესს", — განაცხადა აბაშიშვილმა.

თუ ამის გაკეთება უნდოდა უსუფაშვილს, 4 წელი ბურთიც, მოედანიც, მსაჯის სასტვენიც და წითელი და ყვითელი ბარათებიც მას ედო ჯიბეში

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის იმ ინიციატივას გამოეხმაურა, რომელიც კონსტიტუციის პრეამბულაში საქართველოს ევროატლანტიკური კურსის ურყევობასთან დაკავშირებით ჩანაწერის გაკეთებას გულისხმობს.

„ძალიან სამწუხაროა, რომ დათოსთან დაკავშირებით მიწევს ამის გაკეთება, მაგრამ ეს არის ძალიან ცუდად გათვლილი პიარ-ნაბიჯი. თუ ამის გაკეთება უნდოდა უსუფაშვილს, 4 წელი ბურთიც, მოედანიც, მსაჯის სასტვენიც და წითელი და ყვითელი ბარათებიც მას ედო ჯიბეში და გაეკეთებინა ეს, არავინ არ უშლიდა. მით უმეტეს, ნაციონალურმა მოძრაობამ, მე შეგახსენებთ, რომ ეს ინიციატივა დავაყენეთ და სამწუხაროდ მაშინ, არც რესპუბლიკელების და არც კოალიციაში შემავალი სხვა პარტიების მხარდაჭერა ვერ მოვიპოვეთ", — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

◎ ვის აძლევთ ხმას?

„დიდხანს ომი არ გაგრძელებულა, შემოეფანტნენ თავადს მხლებლები"...

ლექსის ეს სტროფი სადღაც წამიკითხავს. ამ ლექსის სათაურსაც ვერ ვიხსენებ. მთავარი ამის გარკვევა არ არის. მნიშვნელოვანია — ჩემ მეხსიერებაში რამ წამოატივტივა, რამ მისცა ბიძგი მეხსიერების ის შრე გააქტიურებულიყო, რომლის „მოვალეობაში" შედის, ასე ვთქვათ, დავიწყებულის გახსენება.

ზოგი მეტყვის, ალბათ ქვეცნობიერი დაგეხმარაო. არ არის მართალი. ამის მიზეზი გახდა არჩევნების მიმდინარე პროცესები.

— ბატონმა ბიძინამ ამგვარი პროგნოზი გამოთქვა: „ოცნება" პარლამენტში 100 წევრით მაინც წარმოგვიდგებაო. ვფიქრობ, ეს პროგნოზი ძალიან მოკრძალებულია. საქმე ისე მიდის, რომ „ოცნება" საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვა პარლამენტში. რა მაძლევს ამის თქმის უფლებას?

უკვე ტოტალურად დაიწყო სხვადასხვა პარტიებიდან წევრების გამოსვლა და „ოცნებაში" მათი გაწევრიანება. თუ ასე გაგრძელდა 8 ოქტომბერს უმეტესწილი პარტიები ლიდერის ამარა აღმოჩნდებიან. სააკაშვილს კი შემოეფანტებიან სატელიტები. სწორედ ამ გარემოებამ ლექსის ზემოხსენებული სტროფი გამახსენა. ზოგმა შეიძლება იფიქროს, ბოლოს და ბოლოს ხალხმა გაიცნობიერა „ოცნების" მიღწევები და გადაწყვიტა მხოლოდ მას მისცეს ხმა. ვფიქრობ, არც ეს არის სწორი. ამომრჩეველთა უმრავლესობას დიდი ხანია, კარგად ჰქონდა გათვიცნობიერებული რომ: ჯანდაცვაში მოხდა ძირეული გარდატეხა; მოიხნა გაცილებით მეტი მიწა, ვიდრე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რომელიმე წელს; შემცირდა უმუშევრობა; გაორმაგდა სოციალური დახმარება; რაც მთავარია, ბოლო მოეღო ეგრეთ წოდებული ნაციონალების აღვირახსნილ პარპაშს სრულიად საქართველოში.

ანტინაციონალები (მათებურად ნაციონალები) დღენიადაგ გაჰყვირიან: ხელისუფლება ციფრებით მანიპულირებს, სინამდვილეში ცხოვრება აუტანელი გახდაო. მართლაც, სინამდვილე რას ღაღადებს? — ამდენი მსუბუქი მანქანა არასდროს ყოფილა საქართველოში. ეზოებში ტევა არ არის. ზოგი საშუალო შეძლების ოჯახი ორი და მეტი მსუბუქი ავტომობილის მფლობელიც კია. მთავარი არის ის, რომ ყველა ეს მანქანა მოძრაობს. გამოდის, ოჯახებს იმის საშუალებაც აქვს, რომ ყოველდღიურად მოძრაობაში ჰყავდეს გადაადგილების საშუალება. სასადილოები და რესტორნები კლიენტების ნაკლებობას არ უჩივიან. იგივე მდგომარეობაშია კურორტები და დასასვენებელი სახლები. ზოგს ვერ შეუმჩნევია ისიც, რომ რამდენიმე წლის წინაც კი ნაახალწლევს მაღაზიები გამოცარილედებოდა და მათ შევსებას რამდენიმე კვირაც კი სჭირდებოდა. ამჟამად ნაახალწლევს მაღაზიებს ვერც კი შეამჩნევთ, რომ წინა დღეს აქ მრავალი ადამიანი ვაჭრობდა.

არც ერთ ეკონომისტს, არც ერთ ფინანსისტს არ შეუნიშნავს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება და არ დაუსვამს ასეთი კითხვა: რატომ გადაიტანა ქართველმა ხალხმა ლარის დევალვაცია შედარებით იოლად?

ჩემი მოსაზრებით ორი ფაქტორის გამო: 1. ფასების საგრძნობი აწევა არ მოხდა, ვინაიდან კერძო ბიზნესმენებს იმდენად ჰქონდათ ფასები აწეული, მეტის მომატება გამოიწვევდა პროდუქტების „ჩაწოლას", გაუსაღებლობას: 2. საქართველოს ოჯახების მნიშვნელოვან ნაწილში დოლარი დომინირებს. მისმა ლარებში გადახურდავებამ გამოიწვია ამ ოჯახების ფინანსური შემო-

მიხეილ ჯანელიძე: საქართველო ევროკომისიის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს და ამ მხრივ რისკები არ არსებობს

ავსტრიული გამოცემა „PROFIL"-ი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძეს ესაუბრა. გთავაზობთ ინტერვიუს ქართულენოვან ვერსიას, სადაც მოცემულია მინისტრის თვალსაზრისი ევროპასთან ინტეგრირების, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზებასა და საქართველოს, როგორც ევროპააზიის ერთმანეთთან დამაკავშირებელი ხიდის შესახებ.

— ბევრ ევროპულ ქვეყანაში შეინიშნება ევროკავშირიდან გასვლის სურვილი, საქართველო კი პირიქით — ევროკავშირში გაწევრიანებისკენ ისწრაფვის. რატომ?

— საქართველომ თავისი არჩევანი ჯერ კიდევ 25 წლის წინათ გააკეთა, როცა ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა აღიდგინა. მას შემდეგ ჩვენ ამ მიზნის მისაღწევად ბევრი რეფორმა განვახორციელეთ. გვსურს რაც შეიძლება მალე გავხდეთ ევროკავშირისა და ნატოს წევრი. საქართველო ევროპას მიეკუთვნება და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპის განაპირას მდებარეობს, იმავდროულად ის აზიასთან დამაკავშირებელი ხიდის როლსაც ასრულებს. საქართველო უზრუნველყოფს აზერბაიჯანული ბუნებრივი გაზის ევროკავშირში ექსპორტს. გარდა ამისა, „აბრეშუმის დიდი გზის" აღორძინების პირობებში, საქართველოს შავიზღვისპირა ნავსადგურების და რკინიგზების გამოყენება ხელს შეუწყობს ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობის გააქტიურებას.

— საქართველოს იმედი აქვს, რომ შემოდგომით ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი იქნება შემოღებული. ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის გერმანია, ფრთხილობს, რომ სავიზო რეჟიმის გაუქმებით ქართველი პოტენციური დამნაშავეების ნაკადი მოიმატებს...

— საქართველო ევროკომისიის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ასე რომ, ორგანიზებული დამნაშავეობისა და უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებით არანაირი რისკები არ არსებობს. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ უსაფრთხო ქვეყნად ითვლება.

— თქვენი ქვეყნის ერთ-ერთ პრობლემად ძველებურად ისევ კორუფცია ითვლება...

— ევროკომისარმა იოჰანეს ხანმა განაცხადა, რომ საქართველომ კორუფციასთან ბრძოლაში უფრო მეტ წარმატებებს მიაღწია, ვიდრე ევროკავშირის წევრმა ზოგიერთმა ქვეყანამო. ამჟამად საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ქვეყანაა. ამ მხრივ ჩვენთან საბჭოური მემკვიდრეობა აღმოფხვრილია.

— როგორ შეაფასებთ ურთიერთობას რუსეთთან, რომელთანაც საქართველოს 2008 წელს სამხედრო კონფლიქტი ჰქონდა?

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მთელ მსოფლიოშია აღიარებული, რუსეთის ფედერაციისა და კიდევ ორიოდე ქვეყნის გამოკლებით. ჩვენ გვსურს სუვერენიტეტის აღდგენა (რუსეთის მიერ) ოკუპირებულ ნაწილებზეც, მაგრამ მხოლოდ მშვიდობიანი გზით. რუსეთთან ჩვენ ოფიციალური და არაოფიციალურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, მაგალითად, ვაჭრობის, სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და მოქალაქეთა შორის კონტაქტების გაფართოების მიზნით. ჩვენ დაძაბულობის შენელებას ვცდილობთ.

— საქართველოს ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც დღეს უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორია, ქართული იუსტიციის მიერ იძებნება. მოითხოვთ მის ექსტრადირებას უკრაინისგან?

— მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობა აირჩია, თუმცა ჩვენი სამართალდამცველი ორგანოების მიერ მიღებული ზომები იგივე რჩება.

ესაუბრა
ოტმარ ლაჰოდინსკი

(ნიუსპრესი სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის")

სავლის ზრდა. რასაკვირველია, მრავალ ოჯახს — პირიქით პრობლემები შეუქმნა. აქ შესადარებელია ციფრები — სარგებლის აღმნიშვნელის და ზარალის. საერთოდ, ასე უნდა ვიმსჯელოთ: წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში რა რაოდენობის ადამიანები ცხოვრობდნენ ნორმალურად და დღეს ამ მხრივ როგორ შეიცვალა მდგომარეობა? — რასაკვირველია, უკეთესობისკენ, რაც ზემოთ უკვე თვალნათლივ გამოჩნდა. რასაკვირველია, ოთხი წლის განმავლობაში ყველა პრობლემა ვერ გადაწყდა. მოსახლეობის რაღაც ნაწილი მაინც უკმაყოფილო იქნება. აშშ-ში, მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ქვეყანაში, მრავლად შეხვდებით უსახლკაროებს, უმუშევრებსა და მათხოვრებსაც კი.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები მარტო ჩემ მიერ არ არის დანახული, ასე ხედავს ადამიანების უმრავლესობა. თუმცა ადამიანებს სჩვევიათ ხელისუფლებისადმი დაუმსახურებელი უკმაყოფილების გამოთქმა; უკმაყოფილებას გამოთქვამს ის, ვინც გულში ხელისუფლების მადლიერია. რატომ ხდება ასე? აქ, საჭიროა ფსიქოლოგიას მივმართოთ. ადამიანები ცდილობენ, ხელისუფლება რაც შეიძლება მეტად გააკრიტიკონ, რათა მისგან მეტი მიიღონ. ასე მოიქცა ქართველი ამომრჩეველიც; მაგრამ, რაკი დაინახა სააკისტებმა ხმა აღიმაღლეს და მათ გვერდში ამოუდგნენ სატელიტები — ალასანისტები, ხიდაშელისტები, პაატისტები, ნათელაშვილისტები და სხვები, ხოლო ნაცების წისქვილზე წყლის მიშვებას შეუდგნენ სხვა ეგრეთ წოდებული არასაპარლამენტო პარტიები, უცებ გონს მოეგნენ — ემანდ, ამასობაში თაღლითებმა პარლამენტში გარკვეული რაოდენობის მანდატი არ მოიპოვონო და ქება დაუწყეს „ოცნებას". სხვადასხვა პარტიებიდან დენა დაიწყეს და შეუერთდნენ „ოცნებას". ეს შესანიშნავია და მოასწავებს ხალხის გამოფხიზლებას.

გულწფელად ვამბობ: ადამიანური გაგებით შესაბრალისნი არიან — ბურჭულაძე, ალასანია, უსუფაშვილი და ყველა ისინი, ვინც „ოცნებას" უპირისპირდება. ამას ძალიან გვიან გაიგებენ, როდესაც ყველასგან მიტოვებულები მარტო დარჩებიან. ერთხელ ასეთ პოზაში დავინახე ბურჭულაძე — ყურებჩამოყრილი, სევდიანი თვალებით შორეულ სივრცეს გასცქეროდა: ალბათ, ნანობდა რად გავყავი თავი მახეში, ხალხმა უკვე გაიგო, რომ სააკაშვილის დასახმარებლად გადმოსხმული დესანტის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ. ალასანია იხტიბარს არ იტეხს, მაგრამ ეტყობა, ვეღარ გაჰკივის თამამად მისი დაფი და ნაღარა. ხშირად მსაყვედურობენ, რატომ უწოდებ მას უმეცარს. უმეცრებაა, აბა რა არის გორში კენჭისყრა. გორი ხომ საქართველოს გულია, მისი მამოძრავებელი ძალაა, სამჭედლოა ჭეშმარიტი ინტელიგენტებისა. ნუთუ გორელები ვერ შეარჩევენ ქალაქის წიაღიდან გამოსულ ადგილობრივ ინტელიგენტს, რომელიც ღირსეულად დაიცავს პარლამენტში მის უფლებებს? ნუთუ მართლაც სჯერა ალასანიას, რომ მის უშინაარსო ყრანტალს ამომრჩეველი სერიოზულად იღებს და არჩევნებში მას დაუჭერს მხარს.

არანაკლებ საცოდავად გამოიყურება უსუფაშვილი — უკვე განწირული დასამარცხებლად. რაღაც ფორმულა, ალგორითმი მოჩმახა, რაც მის პოლიტიკურ მომწიფებულობას (რბილად ნათქვამია) ნიშნავს. საოცარია, ღმერთმანი, თუ რესპუბლიკელებს კვლავაც სჯერათ, რომ თუნდაც მათი ერთი წევრი პარლამენტში მოხვდება? ქალბატონ ნინო ბურჯანაძეზე უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. რა დონის ინტელექტია, ჩემი შესაფასებელი არაა, მაგრამ მისი განვლილი პოლიტიკური გზა ყველასთვის ნათელია. გასარკვევია მხოლოდ — ვინ არის №1 სააკაშვილი, სააკაშვილი თუ ბურჯანაძე ხალხს თვალებში ნაცარს აყრის და უმტკიცებს, რომ სააკაშვილი ქვეყანას მეტ ზიანს მიაყენებდა, ხელისუფლებაში მე რომ არ ვყოფილიყავიო! სინამდვილეში, ბურჯანაძემ საკაშვილთან ერთად მოახდინა, ასე ვთქვათ, საპარლამენტო გადატრიალება, რაც შემდგომში სახელმწიფო გადატრიალებაში გადაიზარდა. კარგად გვახსოვს, თუ როგორც მიმოდიოდა ბურჯანაძე ხიდის ერთი ყურიდან მეორეში და ყოველ გამვლელს შესთხოვდა სააკაშვილისთვის ხმა მიეცა.

საერთოდ, ქართველ ხალხს ყველა პარტიის ლიდერზე აქვს კომპრომატები, რისი გამომზეურების შედეგად მათ მოუწევთ პოლიტიკაში მოღვაწეობაზე ხელის აღება.

რაც შეეხება ჩემ ქალაქ რუსთავს. აქ დიდი ძვრებია. მასობრივად მიმდინარეობს გზების განახლება, სახლების შეკეთება. რომ იტყვიან, გულს უხარია. თუ ვინმეს შეეკითხები, ვის მისცემ ხმას, ცოტა არ იყოს უკმაყოფილოდ შემოგხედავს და უმალვე გიპასუხებს: რა თქმა უნდა, „ოცნებას", აბა, სხვას ვის უნდა მივცე?!

გივი ჯახუა,
რუსთავი

საკრებულოში შუალედური არჩევნები საპარლამენტო არჩევნებთან ერთად გაიმართება

საკრებულოში შუალედური არჩევნების ჩატარება მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც სამ დეპუტატს, „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს ნინო გოგუაძეს, ირაკლი აბუსერიძეს და ბექა ნაცვლიშვილს უფლებამოსილება შეუწყდა. შუალედურ არჩევნებზე მათი შემცვლელები უნდა გამოვლინდნენ.

„კანონის თანახმად, შუალედური არჩევნები ინიშნება არჩევნებამდე არაუგვიანეს 60-ე დღისა, ცენტრალური საარჩევნო კომისია იმსჯელებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მაქსიმალურად შეეცდება, ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვის გამო, შუალედური არჩევნები დაემთხვეს საქართველოს პარლამენტის არჩევნებს", — განუცხადა ჟურნალისტებს ცესკოს პრესსპიკერმა ანა მიქელაძემ.



კახა შარტავამ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა

„ეროვნული ფორუმის" თავმჯდომარემ კახა შარტავამ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია გამართა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა. ეროვნული ფორუმი მაჟორიტარობის კანდიდატებს, 6 მაჟორიტარულ ოლქში წარადგენს. ჭიათურაში კენჭს **ანი მიროტაძე** იყრის, სადეპუტატო მანდატისთვის საბურთალოზე **რევაზ შავიშვილი** იბრძოლებს, ვაკეში კი ეროვნული ფორუმის კანდიდატი **გიორგი ხეჩინაშვილი** იქნება. **დავით დარახველიძე** კენჭს გლდანსა და მუხიანში იყრის. **თემურ მაისურაძე** ნაძალადევში, გორში კი ეროვნული ფორუმიდან **სოსო ვახტანგაშვილი** იბრძოლებს.

„თავისუფალმა დემოკრატებმა" თბილისის მერს „საჩუქრად" ნაგვის ყუთი მიუტანეს

„ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატების" გლდანის მაჟორიტარობის კანდიდატმა ამირან გიგუაშვილმა თბილისის მერიის წინ გამართა აქცია სახელწოდებით „საჩუქარი თბილისის მერს" .

აქციის მიზეზი გლდანის მე-8 მკ/რ-ის პატარა ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე წლების განმავლობაში გადაუჭრელი ნაგავსაყრელის პრობლემაა. აღნიშნული ტბის ირგვლივ ცხოვრობს მოსახლეობა და მიუხედავად სხვადასხვა ხელისუფლების დროს მათი მიმართვისა, ტერიტორია გამოიყენება როგორც სამშენებლო მასალების, ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენების თავმოყრის ადგილად. ვინაიდან ტბა არის დაბინძურებული, ის არ გამოიყენება როგორც დასასვენებელი ადგილი; არის ქვეწარმავლების და ანტისანიტარიის ბუდე.

ამირან გიგუაშვილმა ახალგაზრდებთან ერთად ჩაატარა ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია, რის შემდეგაც ნაგვის ნარჩენები სიმბოლურად მოათავსა ქაღალდის ყუთში, რომელიც გარედან დასურათებულია ნაგავსაყრელზე გადაღებული ფოტოებით. ნაგვით სავსე ყუთი ამირან გიგუაშვილმა მიიტანა თბილისის მერიასთან ქალაქ თბილისის მერისათვის გადაცემის მიზნით. აქციის ჩატარების მიზანია პრობლემის მიმართ ყურადღების გამახვილება, რათა თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა და შესაბამისმა სტრუქტურებმა მოახდინონ რეაგირება.

ბიუჯეტში შესული მილიონები გაუბედურებული მოქალაქეების ხარჯზე

10-მილიარდიან ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესიდან მხოლოდ 66 მილიონი შედის, ანუ რატომ აღარ საუბრობს ხელისუფლება სფეროს რეგულაციებზე?

სათამაშო ბიზნესის რეგულაციების თემა ხელისუფლებას ისევ „თაროზე“ აქვს შემოდებული და მისი პოზიცია ამ საკითხში გაურკვეველია.

რეგულაციის მომხრეები აცხადებენ, რომ სათამაშო ბიზნესის შეუზღუდავი არსებობა ქვეყანაში არაერთ სოციალურ პრობლემას ქმნის, რეგულაციის მოწინააღმდეგეები კი ამტკიცებენ, რომ შეზღუდვების დაწესებით დაზარალდება როგორც ბიზნესი, ისე სახელმწიფო ბიუჯეტი.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა სარგებელს იღებს სახელმწიფო ამ ბიზნესიდან და, შესაბამისად, რამდენად დიდი იქნება ზარალი რეგულაციების დაწესების შემთხვევაში.

ირკვევა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესიდან მიღებული წლიური შემოსავალი მხოლოდ 66 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლევანდელი ბიუჯეტის მხოლოდ 0,65%-ია, 2016 წლის ბიუჯეტი 10,145 მლრდ ლარია. ეს მაშინ, როდესაც ბიზნესის ამ სეგმენტის შემოსავალი რამდენიმე ასეული მილიონი ლარის ფარგლებში მერყეობს, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ სპეციალისტები.

სექტორი, რომელიც მილიონობით თანხას ატრიალებს, საიდანაც ყოველდღიურად რამდენიმე ასეული თუ არა ათეული ადამიანი „ჯიბედაცარიელებული“ გამოდის, ასეთ ცოტა გადასახადს არ უნდა იხდიდეს. მართალია, იგებენ კიდეც, თუმცა მათი რაოდენობა წაგებულებს რამდენჯერმე ჩამოუვარდება.

აზარტული თამაშები კი ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი, გაუმჭვირვალე და მოსახლეობისთვის სახიფათო ბიზნესია.

სპეციალისტების თქმით, საქართველოში სათამაშო ბიზნესის პოპულარობა მუდმივად იზრდება და სახიფათო მასშტაბებსაც იძენს.

ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ ამ ბიზნესში ჩართულობაც მარტივდება. თუ ადრე თამაშისთვის კაზინო ან სპეციალურ დაწესებულებაში მისვლა იყო საჭირო, დღეს ესეც არაა აუცილებელი, მთავარია, გქონდეს ინტერნეტთან მიერთებული კომპიუტერი და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ონლაინ აზარტული თამაშების სამყაროში აღმოჩნდები.

შემოსავლების სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, ბოლო 5 წელიწადში სათამაშო ბიზნესიდან შემოსავალი 14 მლნ ლარით გაიზარდა. სათამაშო ბიზნესი ძირითადად მოსაკრებლით იბეგრება და ამ გადასახდელიდან ყველაზე მოცულობითი თანხა სათამაშო აპარატებზე დარიცხული მოსაკრებლიდან ირიცხება — 42,596 მლნ ლარი, სამორინეების მაგიდიდან — 20,539 მლნ ლარი, ელექტრონული თამაშიდან მიღებული თანხა კი სულ რაღაც 2,735 მლნ ლარია.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 2011 წელს სათამაშო ბიზნესიდან ბიუჯეტში 52,652 მლნ ლარი შევიდა, 2012 წელს — 52,767 მლნ ლარი, 2013 წელს — 54,122 მლნ ლარი, 2014 წელს — 63,143 მლნ ლარი, ხოლო 2015 წელს — 66,486 მლნ ლარი.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობა დადგენილია საქართველოს კანონით და შეადგენს კვარტალში: თითოეულ სათამაშო აპარატზე 1500 ლარიდან 3000 ლარამდე. თითოეულ სამორინეს მაგიდაზე მოსაკრებელი 15000 ლარიდან 30000 ლარამდეა. თითოეული აზარტული კლუბის მაგიდაზე კი 3 000 ლარიდან 10 000 ლარამდე. სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე მოსაკრებლის ოდენობა 30 000-დან იწყება 60 000 ლარამდე ადის.

სათამაშო ბიზნესი განსაკუთრებით მრავალფეროვანი აჭარაშია, სპეციალისტები ბათუმს მეორე ლას-ვეგასად გადაქცევას უწინასწარმეტყველებენ. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 4 წელიწადში აჭარაში სამორინეების რიცხვი 23-ს მიაღწევს. აჭარის ოფიციალური პირები ამბობენ, რომ სამორინეებს რეგიონისთვის მნიშვნელოვანი შემოსავალი მოაქვს, ვინაიდან ტურისტები ბათუმს ყველა სეზონზე სტუმრობენ.

დღეისათვის აჭარაში 11 სამორინე ფუნქციონირებს და ბათუმის ბიუჯეტში მიღებულმა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა 16.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც სათამაშო ბიზნესიდან მიღებული ჯამური შემოსავლის (20.2 მლნ ლარი) 81%-ს შეადგენს.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ანალიტიკოსის **ზურაბ კუკულაძის** განცხადებით, სათამაშო ბიზნესის შემოსავლები გაუმჭვირვალეა. მისივე თქმით, კაზინოების შემოსავლების ზუსტი აღრიცხვა ძალიან რთულია, ვინაიდან პროცესი არის გაუმჭვირვალე. ადმინისტრირებაც ძალიან რთულია. კაზინოები მოგების გადასახადს არ იხდიან, ისინი იბეგრებიან მოსაკრებლით.

„უფრო მეტიც, თუ პირი დააფუძნებს კაზინოს და პარალელურად სხვა საქმიანობა დაიწყებს, იგი მარტო მოსაკრებელს იხდის. შესაბამისად, ჩვენ არ ვიცით, რეალურ კაზინოში რამდენია ბრუნვა“, — ამბობს ზურა კუკულაძე.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ადვოკატი, ანალიტიკოსი **არჩილ კაიკაციშვილი** ამბობს, რომ სათამაშო ბიზნესი ბევრ ქვეყანაში არსებობს, მაგრამ ის მკაცრ რეგულაციებს ექვემდებარება. საქართველოში კი სათამაშო ბიზნესი არ რეგულირდება, თამაში შეუძლია ყველას, მათ შორის, არასრულწლოვნებს: **„ამ რეგულაციას კი უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფო და, მეორე მხრივ, ეს უნდა შედიოდეს კომპანიების ინტერესებშიც, რადგან არასრულწლოვანთა ინტერესი მათთვის უნდა იყოს მნიშვნელოვანი. ეს საკითხი არის მთლიანად მიშვებული და არ არის იმგვარად რეგულირებული, როგორც საჭიროა“,** — აცხადებს კაიკაციშვილი.

მისივე თქმით, სათამაშო ბიზნესი დღეს არის წარმატებული ბიზნესი, რადგან მას ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს. **„რაც შეეხება ბიუჯეტში შენატანს, ისინი, როგორც ვიცი, ძალიან ცოტა გადასახადს იხდიან. არადა, გადასახადი არ უნდა იყოს ცოტა. მაგალითად, გეტყვით, რომ გერმანიაში კაზინოების და სამორინეების მოსაკრებელს განსაზღვრავს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, ანუ ფედერალური მიწების ხელისუფლებები. კანონმდებლობის თანახმად კი სათამაშო ბიზნესს საშუალო წლიური მოგების 60%-ით იბეგრება“,** — განუცხადა „კომერსანტს“ კაიკაციშვილმა.

სათამაშო ბიზნესის რეგულაციებზე საუბარი წლებია, მიმდინარეობს, ახალი პრემიერის მკაფიო პოზიციამ საკითხის ადგილიდან დაძვრის მოლოდინი გააჩინა; პარლამენტის წინაშე გამოსვლისას, 2015 წლის 29 დეკემბერს, პრემიერობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ინტერნეტ-კაზინოების საკითხს საფუძვლიანად შეისწავლის და მიიღებს სახელმწიფო გადაწყვეტილებას მის რეგულირებაზე.

ონლაინ კაზინო „კრისტალბეთის“ დამფუძნებელი და სათამაშო ბიზნესის ასოციაციის პრეზიდენტი **ლევან ახვლედიანი** „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ პროცესში ჩართულია ფინანსთა სამინისტრო და სათამაშო ბიზნესის ასოციაციაც.

ახვლედიანი ამბობს, რომ უშუალოდ სათამაშო ბიზნესთან აქტიური კონსულტაცია არ დაწყებულა, თუმცა, ამ მხრივ გარკვეული აქტივობები, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში დაიწყება.

„აჭარაბეთის“ მარკეტინგის მენეჯერი **ლადო ხარხელაური** აცხადებს, რომ ონლაინთამაშების აკრძალვა ამ სფეროს ძალიან სერიოზულად დააზარალებს და ყველა კომპანიას მოუწევდა ყოფნა-არყოფნაზე დაფიქრება.

მისი თქმით, სამორინეს დარბაზის შემოსავალი ვერ ფარავს ხარჯს და ძირითადი წყარო, დაახლოებით, 80-85 პროცენტი სწორედ ონლაინ თამაშებიდან მიღებული შემოსავალია.

„სახელმწიფო ძალიან სერიოზულად დაზარალდება. ჩვენთან ერთი დღის განმავლობაში შემოდის 500-1000 ადამიანი, ონლაინში კი დღეში 60 000-70 000 ადამიანი თამაშობს. მათ შორის დიდი პროცენტი საზღვარგარეთის ქვეყნებიდანაა. ონლაინის გაუქმება სფეროს დემორალიზაციას გამოიწვევს“, — აცხადებს ხარხელაური.

კომერსანტი

SOS!

„სუიციდისკენ მიდრეკილება და ტვინის სიმსივნე“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **თეა პერტაია** ე.წ ბიოს შესახებ სოციალურ ქსელში წერს:

„ყველაფერი სწორედ მცირე დოზიდან იწყება“... „ბიოს“ პირველადი მიღებაც კი შეიძლება სიკვდილის მიზეზი გახდეს! რეგულარული მოხმარება — ადამიანის ჭკუასუსტობასა და დეგრადირებას იწვევს! „ბიო“ — ესაა სიკვდილი, ესაა დამახინჯებული სიცოცხლე და მომავალი თაობა! არ მინდა, რომ ეს მხოლოდ ლიტონ სიტყვებად აღიქმებოდეს. ესაა ძალიან დიდი საშიშროება და დღეს ვხვდები, რომ მავანნი ამას ადეკვატურად ვერ აღიქვამენ და იაზრებენ“ შსს ახდენს ნარკოდანაშაულის პრევენციას და ჩვენი ახალგაზრდების, მოქალაქეების სიცოცხლის გადარჩენას! ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა სახელმწიფო უნდა იყოს უკომპრომისო და პრინციპული. ჩვენმა უწყებამ ზუსტად იცის, რას აკეთებს და ისიც, რომ დასახული მიზნის მისაღწევად და ამ საწამლავისგან ადამიანების დასახსნელად, ჩვენ არაპოპულარულ ნაბიჯებსაც არ მოვერიდებით. დიახ, „ბიოს“ დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება კანონით ისჯება და დღეს თუ არ გადავდგით შესაბამისი ნაბიჯები, ხვალ იქნება ძალიან გვიან!

სამინისტროს საინფორმაციო კამპანიამ მრავალი ადამიანის, მათ შორის, მოზარდის სიცოცხლე იხსნა — მე კარგად მახსოვს ნარკოტიკებით გამქრალი მთელი თაობა — ათასობით ოჯახის ტრაგედია და უზარმაზარი ტკივილი. არ მინდა, რომ ეს ოდესმე განმეორდეს“, — წერს პერტაია.

ქალბატონ თეა პერტაიას ეს პოსტი ეძღვნება კონკრეტულ შემთხვევას, კერძოდ, კი, შსს-ს მიერ ამოღებულ abchminaca-ს, რომელიც არის უძლიერესი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება. როგორც პერტაია განმარტავს, მისი თუნდაც ერთჯერადი გამოყენება, სხვა უმძიმეს შედეგებთან ერთად, იწვევს სუიციდისკენ მიდრეკილებას! რამდენჯერმე მომხმარება იწვევს დამოკიდებულებას: **„ერთი წლის განმავლობაში სისტემატურად გამოყენება — ტვინის სიმსივნეს! ამოღებული რაოდენობა, რაც მავანთ მცირე დოზა ჰგონიათ, სინამდვილეში სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მინიმუმ 5 ადამიანის სიცოცხლე შეინიროს!**

P. S. დაბოლოს, ბუნებრივია, სოციალური ქსელის სამინისტროს ოფიციალური გვერდიდან ვშლით ყველა იმ მოწოდებას თუ „ფრთიან“ ფრაზას, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ნარკოტიკების მოხმარების წახალისებას და მის მხარდაჭერას ემსახურება“, — წერს თეა პერტაია.

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით სამართალდამცველებმა 1993 წელს დაბადებული გიორგი ქ. ბაკურიანში, თამარ მეფის ქუჩაზე დააკავეს. მათ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება — ე.წ. ბიო ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.



ტრაგედია სამხედრო წვრთნისას

შავ ზღვაში წვრთნების დროს დაკარგული სამხედროების მშობლები თავდაცვის სამინისტროს უსაფრთხოების ზომების დაუცველობაში ადანაშაულებენ. ერთ-ერთი დაკარგულის იაგო შარაძის მამის თქმით, მისმა შვილმა ცურვა კარგად იცოდა და შემთხვევა უყურადღებობის და დაუდევრობის ბრალია. **„ეს არის დაუდევრობა, უყურადღებობა, ეს არის ვინც ინსტრუქტაჟს უწევდა იმის ბრალი, იმის შეცდომის ბრალი. ოდნავ უბრალო შეცდომა და შვილი დამიღუპეს და რა დღეში ჩამაგდეს, გამამწარეს. ჩემმა შვილმა ცურვა იცოდა უმაღლეს დონეზე, პირველი იყო, იმას არაფერი არ შეეშლებოდა. გაიყვანეს სიღრმეში, მიატოვეს უყურადღებოდ, ან ჟანგბადი დაელიათ, ან ბავშვს რაღაცამ უმტყუნა. რომ უმტყუნა, იქ არ უნდა ყოფილიყო მაშველი ან რაღაცა უბრალო ნავიც არ უნდა ყოფილიყო?“** — განაცხადა იაგო შარაძის მამამ რომან შარაძემ.

სპეციალური ოპერაციების ძალების ორმა სამხედრო მოსამსახურემ გონიოს, ყოფილი სასროლეთის საზღვაო ზოლში, საწვრთნელი ვარჯიშის დროს, სიღრმითი ჩაყვინთვის შემდეგ ზღვის ზედაპირზე ამოსვლა ვერ შეძლო.სამხედრო მოსამსახურეების სამძებრო-სამაშველო ღონისძიებაში ჩართულია აშშ-ის ევროპული სარდლობის სპეციალური დანიშნულების ძალებიც. მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

„გალერეა-თბილისი“ დედაქალაქს დაამშვენებს...

ბოლო წლების მანძილზე თბილისის ცენტრალური უბნების იერ-სახე იმდენად შეიცვალა, რომ კაცისთვის, რომელიც დედაქალაქში, ვთქვათ, ხუთი წელი არ ყოფილა, ცვლილებები აშკარად თვალში საცემი იქნება.

ახლო მომავალში დედაქალაქის მთავარი – თავისუფლების მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია კიდევ უფრო მეტად გალამაზდება. ზედ მოედანზე, პუშკინის სკვერის მოპირდაპირე მხარეს, ახალი კომფორტული სასტუმრო აიგება, იმ ადგილს კი, სადაც უწინ უნივერმაღი „თბილისი“ და ალ.გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მთავარი სცენის ფოიე იყო, ახალი სავაჭრო ცენტრის“ „გალერეა თბილისი“ და თეატრის ახალი ფოიე დაამშვენებს.

ძველი უნივერმაღის შენობა რამდენიმე წლის განმავლობაში სამშენებლო მტვერსაწინააღმდეგო ბადეში იყო „გახვეული“. ბოლო თვეების მანძილზე კი ის, ძველი თეატრის შენობასთან ერთად, ერთიანად დაანგრიეს და ახალი ორიგინალური ნაგებობის მშენებლობას შეუდგნენ. ბუნებრივია, ოდესღაც უნივერმაღ „თბილისის“ მაგივრად კი დედაქალაქს ახალი სავაჭრო ცენტრი „გალერეა თბილისი“ შეემატება.

„გალერეა თბილისის“ გახსნა ზუსტად ერთ წელიწადში, 2017 წლის სექტემბერშია დაგეგმილი. მისი მთლიანი სავაჭრო ფართობი 122 ათასი კვადრატული მეტრი იქნება. კვებისა და დასვენების ზონას აქედან ერთი სართული დაეთმობა, სარდაფის რამდენიმე სართულს კი 1300-ზე მეტი მანქანის გასაჩერებელი სადგომი დაიკავებს.

სამუშაოებს ცნობილი სამშენებლო კომპანია „ანაგის“ სპეციალისტები და მუშები აწარმოებენ.

სამუშაოები ახალი სავაჭრო და სახელოვნებო ცენტრის უსწრაფესი ტემპით 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს, დღედაღამ ტექნიკის გუგუნი გაისმის. ეგაა ოღონდ, მშენებლობიდან რუსთაველზე გაუთავებლად დაბინძურებული წყალი გადმოდის, რაც მთლიანად ძალზე დალაგებულ გამართულ სამშენებლო მოედანს ნამდვილად არ ეკადრება.

მერაბ მერიშვილი,
გივი ხოლბორდის ფოტო



ჰაეროვანი „სიუხეშე“

თბილისში, საბურთალოზე, გაგარინის მოედნის ქვემოთ მდებარე ოდესღაც საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ყოფილი შენობა, ბრიტანული რადიოსამაუწყებლო კორპორაცია ბიბისის ვერსიით, ბრუტალური არქიტექტურის მსოფლიოს ულამაზეს ათი შენობის ნუსხაში შევიდა.

თავდაპირველად განმარტების სახით ვიტყვით, რომ ბრუტალიზმი – (ინგლისურად – brutal – უხეში) – ესაა თანამედროვე არქიტექტურის ერთ-ერთი მიმართულება, რომლებიც 1950-იანი წლების შუა ხანეში წარმოიშვა, თუმცა კი მკაფიოდ ჩამოყალიბებული თეორია არა აქვს. ბრუტალისტები ისეთი ესთეტიკური თვისებების მატარებელი არქიტექტურის შექმნას ცდილობენ, რომელსაც უხეში, გამორჩეულად მძიმე ფორმები

და გაშიშვლებული კონსტრუქციები განაპირობებენ. ესაა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი არქიტექტურული მოდერნიზმის ერთ-ერთი განშტოება, რომელიც მთელ მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული.

ამ არქიტექტურული სტილის გამორჩეულ ნაგებობათა სია ბრიტანული მწერლის ჯონათან გლენსის ახალ წიგნში „ბრუტალურ სამყაროშია“ მოყვანილი. არქიტექტურული მოდერნიზმის ამ მიმართულების მსოფლიოში გამორჩეულ ნაგებობათა შორის, თბილისში საავტომობილო გზების სამინისტროს ყოფილი შენობის გარდა, დასახელებულია ხელოვნებისა და დიზაინის კოლეჯი ბაზელში (შვეიცარია, 1961 წ.), იაპონიის დედაქალაქ ტოკიოს სიბუიას უბანში „თაუერ ჰაუსი“ (1966 წ.), ამერიკულ ნიუ-იორკში სასამართლოს ძველი შენობა „ორენჯ ქანთრი“ (1967 წ.) კოსტა-რიკაში სან-ხოსეში ნაგებობა „ჯენარო ვალვერდე მარინი“ (1976 წ.), საბჭოთა კავშირის საელჩო კუბაში (1985 წ.), ასევე „ბოსტონ სითი ჰოლი“ (აშშ, 1968 წ.) და საცხოვრებელი სახლი „ჰომეროსკოპიუმ ჰაუსი“ მადრიდში (ესპანეთი, 2008 წ.).

ამ მეტად საპატიო, ასე ვთქვათ, „არქიტექტურულ რეიტინგში“ საქართველოს საავტომობილო გზების ყოფილ სამინისტროს შენობას მე-6 ადგილი უკავია. იგი 1975 წელს არქიტექტორების **გიორგი ჩახავასა** და **ზურაბ ჯალაღონიას** პროექტით აიგო და დღემდე საბჭოთა პერიოდის ინდივიდუალობით, უჩვეულოდ გამორჩეულ შენობად რჩება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პროექტის ერთ-ერთი ავტორი – გიორგი ჩახავა, იმხანად თავადვე იყო საქართველოს საავტომობილო გზების მინისტრი, ანუ დამკვეთიც თვითონ იყო და შემსრულებელიც.

ბატონ გიორგი ჩახავას თქმით, ეგრეთ წოდებული „სივრცის ქალაქის“ იდეის გამომსახველი შენობის პროექტის შექმნა მას საქართველოს მთაგორიანმა ლანდშაფტმა შთააგონა, მისი არსი კი ის იყო, რომ ნაგებობას რაც შეიძლება ნაკლები მიწის ფართი დაეკავებინა, რათა მცენარეებს მის ქვეშ სასიცოცხლო სივრცე ჰქონოდათ.

აღსანიშნავია, რომ 2007 წელს, არქიტექტურის ძეგლთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, საავტომობილო გზების სამინისტროს ყოფილი შენობა ეროვნული არქიტექტურის ძეგლადაა აღიარებული.

ოთარ ტურაბელიძე

საირიგაციო ქსელი დევნილთა დასახლებაში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ წეროვანის დევნილთა დასახლების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მიზნით საირიგაციო ქსელის მოწყობის პროექტს იწყებს.

სამინისტროს ცნობით, პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუ-

ბარი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი გოჩა ზეიკიძე და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი.

„სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების შედეგად წეროვანის დასახლების 2 000 ოჯახზე მეტი 80 ჰექტარ საკარმიდამო ნაკვეთის მოსარწყავად ისარგებლებს წყლით“, – აღნიშნა დავით გალეგაშვილმა.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 2 000 000 ლარზე მეტია, მომავალი წლის შემოდგომისთვის დასრულდება.

„მოსახლეობა სასმელ წყალს იყენებდა სარწყავად, რაც, თავის მხრივ, სასმელი წყლის პრობლემას ქმნიდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ პროექტის განხორციელების შემდეგ, კი, გადაიჭრება სარწყავი წყლის პრობლემა და აღარც სასმელი წყლის მიწოდება შეფერხდება“ – განაცხადა დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა.

შპს „საქართელოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის ლევან დვალის განცხადებით დასახლებაში მოეწყობა 30 კილომეტრამდე წყალმიმყვანი მაგისტრალი და გამანაწილებელი ქსელი, რომელიც სარწყავი წყლით უზრუნველყოფს წეროვანის დასახლების თითოეულ ოჯახს.

დაფინანსებული სამუშაოები წარმატებით დასრულდა

სამგორის რაიონში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 229 მისამართზე სხვადასხვა სახის სამუშაო დასრულდა. პროექტის ღირებულება 2 046 073 ლარია. პროექტის ფარგლებში გამოიცვალა კორპუსის სახურავები, ლიფტები, კორპუსებში მოხდა სართულებს შორის ნაპრალების რეაბილიტაცია. ასევე, გამოიცვალა სახურავის წყალსაწრეტი მილები, განხორციელდა სადარბაზოების შიდა რემონტი, დამონტაჟდა სადარბაზოს კარები, მოეწყო სადარბაზოს სენსორული განათება, მოხდა სადარბაზოს შესასვლელის გადახურვის რემონტი და სადარბაზოების კიბის აღდგენა, – აცნობეს მედიანიუსს თბილისის მერიიდან.

ამ ეტაპზე დაგეგმილია და ხელშეკრულება გაფორმებულია დამატებით 30 მისამართზე ანალოგიური სამუშაოების შესასრულებლად, რომლის ღირებულება 230 920 ლარია.

მიწისქვეშა კომუნიკაციების პრობლემა მოიხსნა

დიდუბის რაიონში, 22 მისამართზე, მოძველებული მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაცია განხორციელდა.

21 მისამართზე მთლიანად განახლდა წყალსადენისა და კანალიზაციის ყველა დიამეტრის მოძველებული ქსელი, ხოლო 1 მისამართზე სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა. სანიაღვრე სისტემის გაუმართაობის გამო, ძლიერი ნალექების დროს, სანიაღვრე კოლექტორი ვერ ატარებდა მოვარდნილ ნიაღვარს, რის გამოც ხოშარაულის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლები იტბორებოდა.

22 მისამართზე განხორციელებული სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა შ.პ.ს „იძი-მ“ და შ.პ.ს „ენ ეს გრუპმა“ 288 673 ლარის ღირებულების ფარგლებში შეასრულეს. დიდუბის რაიონის გამგეობამ, მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლის შემდგომ, 14 მისამართზე უკვე დააგო ასფალტის საფარი, დანარჩენ 8 მისამართზე კი ეტაპობრივად დაიგება.

* * *

საბურთალოს რაიონის გამგეობის თანადაფინანსებული პროექტების განყოფილების მიერ ასათიანისა და ზაქარიაძის ქუჩების კვეთაზე არსებულ ორ კორპუსში წყალ-კანალიზაციის სისტემის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა. აღნიშნული პროექტი გამგეობამ 80%-ით, კერძოდ, 30,910 ლარით დააფინანსა.

მიმდინარე სამუშაოები საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილეებმა გაიოზ ვასაძემ და ლუკა კანკავამ განყოფილების უფროსთან ვლადიმერ კაპანაძესთან ერთად დაათვალიერეს და შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენელს გაესაუბრნენ.

თანადაფინანსებული პროექტის ფარგლებში, შეიცვალა მიწისქვეშ არსებული მილები და დამონტაჟდა წყალშემკრები ჭები. აღსანიშნავია, რომ ამავე მისამართზე სხვა პროექტიც მიმდინარეობს – კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ზაქარიაძის ქუჩაზე №3 კორპუსის გამაგრების სამუშაოს აწარმოებს.

მიწისქვეშა საქართველოს

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კვლევა-ძიება კახეთში

ოქროს ლომი. კახეთი – III ათასწლეული

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ნახევარ საუკუნეზე მეტია არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებს კახეთში. გამოვლინდა ასეულობით არქეოლოგიური ძეგლი, ძველი ქვის ხანიდან მოკიდებული შუასაუკუნეების ჩათვლით. მათი პუბლიკაცია, საქართველოს გარდა, განხორციელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. არსებითია, რომ ამ კვლევის შედეგად მიღებული მრავალი განმაზოგადებელი დასკვნა ახლებურ ხედვას გვთავაზობს კავკასიის უძველესი კულტურის კვლევის რიგი ფუნდამენტური პრობლემის გასააზრებლად და რიგ შემთხვევაში, მათი განსხვავებული ინტერპრეტაციისათვისაც.

ამ მიღწევებიდან გამორჩეულია ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსული კულტურის ეპოქა, როდესაც ძვ.წ.აღ. III ათასწლეულში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ჩნდება სრულიად ახალი სახის მასალები, რომლებიც კახეთში განსაკუთრებული სიმრავლით არის წარმოდგენილი და სამეცნიერო ლიტერატურაში ალაზან-ბედენის კულტურის სახელწოდებით მოიხსენიება. ამ სიახლემ სრულიად სხვა სახით გასააზრებლად წარმოაჩინა კავკასიაში ადრებრინჯაოს ხანის საზოგადოების და მისი კულტურის გენეზისის, სოციალ-ეკონომიკური განვითარების და ქრონოლოგია-პერიოდიზაციის პრობლემათა მთელი წყება.

აღნიშნული მასალების მიხედვით, კავკასიის საზოგადოებაში ამ დროიდან პირველად ჩნდება განსაკუთრებით მაღალი დონის, ქონებრივად და სოციალურად დაწინაურებული ფენა, რაზედაც ცხადად მიგვითითებს ამ დროის გრანდიოზული დასაკრძალავი კონსტრუქციები – ინდივიდუალური გორასამარხები განსაკუთრებულად მდიდარი, მაღალი ხარისხის, დახვეწილი გემოვნებით ნაკეთები ინვენტარით, მათ შორის ძვირფასი ლითონებისგან, მაგალითად ისეთით, როგორიც ალაზნის ველზე აღმოჩენილი ლომის ოქროს ქანდაკებაა, და ადამიანების მსხვერპლშეწირვით.

როდესაც ძვ.წ.აღ. III ათასწლეულის ალაზან-ბედენის კულტურაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, საყურადღებოდ მიმაჩნია, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მისი განვრცობა თითქმის ზუსტად ემთხვევა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის საზღვრებს. გასაგებია, რომ ქრონოლოგიურად ასე დაცილებული პერიოდების კულტურათა განვრცობის საზღვრების ამგვარი დამთხვევა შეიძლება უყურადღებოდ დაგვეტოვებინა, მაგრამ რადგან ძვ.წ. აღ. III ათასწლეულის ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსული კულტურის ფინალური საფეხურის (რომელიც ცალკე მარტყოფული კულტურის სახელწოდებითაც მოიხსენიება), ძვ.წ.აღ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის ბრწყინვალე თრიალეთური კულტურის და ძვ.წ.აღ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის, ე.წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურის განვრცობის საზღვრები თითქმის ზუსტად ამ ჩარჩოებში თავსდება, ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს და აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კულტურებზე და მათ გენეზისზე მსჯელობის ეს მონაცემები ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს.

არ უნდა გამოირიცხოს, რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, ადრებრინჯაოს ხანის ფინალურ ეტაპზე, ძვ.წ.აღ. III ათასწლეულში, საზოგადოების განვითარების მაღალი დონე დაედო საფუძვლად ძვ.წ.აღ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ შუაბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე თრიალეთურ კულტურას თავისი ელიტარული საზოგადოებით.

კახეთმა სრულიად განსაკუთრებული მასალები მოგვცა ამ კულტურის ახლებური გააზრებისთვის. აქ პირველად აღმოჩნდა თრიალეთური კულტურის სამოსახლოები, რამაც მყარი საფუძველი შეგვიქმნა ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების წარმომავლობაზე და მათ სოციალ-ეკონომიკური მიმართულებების პრობლემებზე დამაჯერებელი საუბრისთვის. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეგვძინა თრიალეთური კულტურის ნამოსახლარების აღმოჩენამ ალაზნის ველის მრავალფენიან ნამოსახლარებზე. ეს სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი რეგიონია, სადაც მცირე ფართობზე მრავალფენიანი ბორცვები ჯგუფად არის განლაგებული, შეიცავს ბრინჯაოს და რკინის ხანის ყველა კულტურულ ფენას და მთლიანად კავკასიის მასშტაბით უდიდესი მნიშვნელობის არქეოლოგიურ ძეგლებს კულტურათა გენეზისისა და ქრონოლოგია-პერიოდიზაციის პრობლემების კვლევისათვის. ამასთან ერთად, კახეთის მასალებმა მყარად დაადგინა თრიალეთური კულტურის აღმოსავლეთი საზღვარი და ერთდროულად უმნიშვნელოვანესი მასალები მოგვაწოდა ცენტრალური ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში არსებული შუაბრინჯაოს ხანის სევან-უზერლიკის კულტურასთან ურთიერთობის გასარკვევად. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სამხრეთ კავკასიის შუაბრინჯაოს ხანის სოციალ-ეკონომიკური პრობლემების კვლევისას, რადგან

ცხენებშებმული საბრძოლო ეტლის ბრინჯაოს მოდელი. დედოფლისწყარო, მთა გორხები.

ძველი წელთაღრიცხვის 9-8 საუკუნეები.

სამხრეთ კავკასიაში სევან-უზერლიკის კულტურის გამოჩენა ჩრდილო სტეპურ სამყაროსთან – კატაკომბელებთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირით აიხსნება. ეს კავშირი კი ამ ეპოქაში კავკასიური კულტურის წინსვლის ერთ-ერთ საფუძვლად არის მიჩნეული.

უმთავრესად კახეთში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე მოხერხდა ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ორი უმნიშვნელოვანესი ეპოქის – შუა და გვიანბრინჯაო-რკინის ხანის, ძველი წელთაღრიცხვის II-I ათასწლეულების კულტურათა თანამიმდევრული, განუწყვეტელი განვითარების დადგენა და მათ შორის უშუალო გენეტიკური კავშირის დადასტურება. ამან აღმოსავლეთ საქართველოში ორი ათასი წლის მანძილზე ერთიმეორესთან გენეტიკურად დაკავშირებული მოსახლეობის არსებობაზე მსჯელობის მტკიცებულებას მყარი საფუძველი შეუქმნა. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად, ცხადია, აუცილებელი იყო განგვეხორციელებინა არქეოლოგიური კვლევის ძირითადი მიზანი, არქეოლოგიური კულტურები და მათი შემქმნელი საზოგადოება დაგვეკავშირებინა კონკრეტულ ეთნოსთან.

პრაქტიკულად, ჯერჯერობით კვლავ მხოლოდ კახეთის არქეოლოგიური მასალების კვლევის საფუძველზე მოხერხდა ჩვენი ქვეყნის წარსულისთვის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნის მიღება. კერძოდ, შევძელით გარკვეული არქეოლოგიური კულტურები ქართულ ეთნოსთან დაგვეკავშირებინა.

* * *

კახეთში, კონკრეტულად ძვ.წ.აღ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ.აღ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების მიხედვით, შესაძლებელი გახდა, მკაცრად შემოფარგლულ ტერიტორიაზე, ერთი კულტურის ფარგლებში ერთიმეორისგან რიგი თავისებურებებით გამორჩეული, სამი ლოკალური კულტურის გამოყოფა, რომელთა განვრცობის ტერიტორია მკაცრად არის შემოფარგლული და ზუსტად ემთხვევა ქართულ წერილობით წყაროში, რომელიც საქართველოს უძველეს პერიოდს ეხება, სამი ქართული ტომის – კახების, კუხების და ჰერების განსახლების ტერიტორიას. ასე შეიქმნა რეალური საფუძველი ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასასრულის და ძვ.წ.აღ. I ათასწლეულის დასაწყისის სამი ლოკალური არქეოლოგიური კულტურა სარწმუნოდ ქართულ ეთნოსთან დაგვეკავშირებინა. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ ამ მხარეში არქეოლოგიურ კულტურათა ამჟამად უკვე დადგენილ უწყვეტ განვითარებას ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისიდან მოყოლებული, უნდა ვიფიქროთ, რომ უკვე ამ დროიდან დასაშვებია არქეოლოგიური კულტურების დაკავშირება ქართულ ეთნოსთან.

საქართველოს ისტორიის სწორად გასააზრებლად აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბოლო წლებში კახეთში – ივრის ზეგანზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მიერ ჩატარებულ არქეოლოგიურ სამუშაოებს. განსაკუთრებით საყურადღებოა გასული საუკუნის მიწურულს, აეროფოტოგადაღებების დეშიფრირების საფუძველზე, აღმოსავლეთ საქართველოში, დავით გარეჯის მრავალმთაში, მასშტაბური, პროფესიულ დონეზე წინასწარ შედგენილი პროექტით, კარგად დაგეგმარებული და ერთდროულად ნაგები ქალაქური დასახლებების და რელიგიური ცენტრების აღმოჩენა. ყველა მათგანი კარგად არის გამაგრებული ქვის საძირკველზე ამოყვანილი ოთხი-ხუთი მეტრი სიგანის რამდენიმე გალავნით და თავდაცვითი თხრილებით. ყველა ნაქალაქარი უზრუნველყოფილია წყალმომარაგების საიდუმლო გვირაბებით, რომლის სიგრძე ზოგიერთ შემთხვევაში ერთი კილომეტრია. ამ არქეოლოგიური ძეგლების გამოკვლევა წარმოებდა ქართულ-გერმანული სამეცნიერო პროექტის „ტროა-უდაბნოს“ ფარგლებში ექვსი წლის განმავლობაში. ნაქალაქარები სერიული რადიოკარბონული ანალიზების საფუძველზე ძველი წელთაღრიცხვის XII-IX საუკუნეებით დათარიღდა.

ეს სამიათასწლოვანი ცივილიზაციის პირველი აღმოჩენა იყო სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის უძველესი წარსულის ახლებური გააზრების აუცილებლობაზე მიგვანიშნებდა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი ჩანდა, რომ ეს ძეგლები ძველაღმოსავლური ცივილიზაციის მრავალ ნიშან-თვისებას ატარებს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს არ არის მისი რაღაც პერიფერიული ნაწილი, არამედ მისგან მრავალმხრივ განხვავებული, სხვა საფუძველზე აღმოცენებული და თავისი ნიშან-თვისებების მატარებელი ტიპური კავკასიური ცივილიზაციაა.

დავით გარეჯის მრავალმთის აღნიშნულ არქეოლოგიურ ძეგლებზე მათი მხოლოდ ზედა კულტურული ფენების შესწავლა განხორციელდა. ქვედა ფენები, რომლებიც ძვ.წ.აღ. XIV-XIII სს. თარიღდება და ასევე ქალაქურ დასახლებებს უნდა ეკუთვნოდეს, ჯერჯერობით არ არის შესწავლილი.

ამ მონაცემთა საფუძველზე, უკვე გასული საუკუნის მიწურულს გამოითქვა აზრი, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ამ მონაკვეთში ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მიწურულს არსებობდა კოლხური სამეფოს თანადროული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, მაგრამ მაშინ ამ დასკვნებმა ჩვენი სამეცნიერო საზოგადოების სათანადო ყურადღება ვერ დაიმსახურა, რადგან, როგორც ჩანს, ასეთი თამამი განცხადებისთვის მეტი მტკიცებულებები იყო საჭირო.

ვფიქრობ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მიზანმიმართულმა სამეცნიერო კვლევამ ეს ხარვე-

ახალი სერვისი ტურისტული სააგენტოებისთვის

ახალი ტურტისტული სერვისის გაცნობის მიზნით მაჭახელას ხეობაში ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ ინფოტურს გაუწია ორგანიზება. ტურის ფარგლებში ადგილობრივი ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები მაჭახელას ხეობაში არსებულ რაფტინგის სერვის გაეცნენ და თავადვე გამოსცადეს მდინარე მაჭახელაზე სპეციალური საჯომარდო ნავებით დაშვების შესაძლებლობა. მათ ორგანიზატორი კომპანიისგან „Rafting in Ajara“ თანამშრომლობის პირობების შესახებაც მიიღეს დეტალური ინფორმაცია. კომპანია დაინტერესებულ პირებს მდინარე მაჭახელაზე რაფტინგს სთავაზობს, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ვებგვერზე ge-tur.ru.

ტურის ფარგლებში სააგენტოების წარმომადგენლებმა ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ ჯოჭოში ახლად გახნილი რესტორანი შატო ერგეც მოინახულეს, რომელიც მდინარის პირას შუა საუკუნეების სტილში აგებულ შენობას წარმოადგენს, სადაც ტრადიციული ქართული კერძები მზადდება. სააგენტოების წარმომადგენლებისთვის რესტორნის მენეჯმენტთან შეხვედრა და თანამშრომლობის პირობების გაცნობაც მოხდა.



სენსაციური საიდუმლოებანი

ზი შეავსო და ამ ვარაუდს მეტი დამაჯერებლობა შემატა. ამის საფუძვლად იქცა სატელიტური გადაღებების შედეგად ივრის ზეგნის აღმოსავლეთ ნაწილში ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მეორე ნახევრის ქალაქური დასახლებების მთელი სერიის აღმოჩენა. ჯერ აღმოჩნდა და ქართულ-გერმანული ექსპედიციის მიერ შესწავლილ იქნა ძველი წელთაღრიცხვის I ათსწლეულის დასაწყისის მცირე ქალაქური დასახლებები ქვით მოკირწყლული ქუჩებით, მათ გაყოლებით თიხის კედლებიანი საცხოვრებელი შენობებით და საკანალიზაციო ქსელით. ეს თითქოს კიდევ ერთხელ ადასტურებდა ჩვენს ვარაუდს – ივრის ზეგანზე ადრეული სახელმწიფო სტრუქტურების არსებობის შესახებ. ჩვენ ამ ვარაუდის კიდევ ერთ დადასტურებად მივიჩნიეთ ქ. დედოფლისწყაროში, მთა გოხებზე, ამ დროის ცხენებშებმული საბრძოლო ეტლის ბრინჯაოს მოდელის აღმოჩენა, რამაც, ცხადია, თანადროულ სამხედრო შენაერთებში რეგულარული, სამთავრობო ნაწილების არსებობაზე და მის მაღალ ორგანიზებულობაზე მიგვითითა.

მაგრამ, ივრის ზეგანზე უძველესი ცივილიზაციის არსებობის შესახებ ყველაზე მეტი ინფორმაცია მაინც დიდი შირაქის ველის და მის ირგვლივ აერო და სატელიტური გადაღებების დეშიფრაციამ მოგვაწოდა. აქ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასასრულის და I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური ძეგლები შემდეგი სისტემით არის განლაგებული.

დიდი შირაქის ველის ირგვლივ, მთაგორებს შორის, ველზე ორი ძირითადი შესასვლელია, რომლებიც ხეობებს მიუყვება დასავლეთიდან, გრძელი კარის სახელწოდებით, სამხრეთიდან – ციხის კარის სახელწოდებით. ორივე მათგანი მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობებით დაცული დასახლებებით კონტროლდება. ამ მიზნით გრძელი კარის ხეობას დამატებით, გარდიგარდმო ქვის ლოდებით ნაგები დიდი კედლები ზღუდავდა.

დიდი შირაქის ველის ირგვლივ, მთაგორებზე, მცირე დასახლებებია განლაგებული, მთის თხემზე ციტადელით და მთის ფერდებზე ტერასებად დაგეგმარებული დასახლებებით. ყველა ეს ცალკეული დასახლება მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობებით – გალავნებითა და თავდაცვითი თხრილებით არის გარშემოვლებული. მათი სამეურნეო ასპარეზი, როგორც ჩანს, დიდი შირაქის ველია. მთაგორებზე განლაგებული დასახლებები ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნით თარიღდება. ამ დროის დასახლებები შირაქის ველზე, როგორც წესი, არ ჩანს. აქ მხოლოდ ადგილ „დიდნაურში“, სატელიტური გადაღებების დეშიფრაციის დახმარებით აღმოჩნდა მათი თანადროული ერთადერთი გრანდიოზული ნაქალაქარი, რომელიც, როგორც ჩანს, მათი ადმინისტრაციული, პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი უნდა ყოფილიყო. „დიდნაურის“ ნაქალაქარის მნიშვნელობა, უნდა ვიფიქროთ, ცენტრალური ხელისუფლების მიერ კარგად ორგანიზებულმა საზოგადოებამ განახორციელა. ამაზე მიგვანიშნებს ის კოლოსალური შრომა, რომელიც მის აგებას მოხმარდა. ნაქალაქარის თხუთმეტი ჰექტარი შვიდი მეტრის სიგანის გალავნით არის შემოზღუდული, რომელსაც სპეციალისტების გამოთვლით, თხუთმეტი მეტრის სიმაღლე მაინც უნდა ჰქონოდა. იგი ნაგებია ხის, თიხის და ქვის კონსტრუქციებით. მშენებლობაზე გამოყენებული კოლოსალური რაოდენობის რიყის ქვა, რომელიც შირაქში არ მოიპოვება და აშკარად ალაზნის ველიდან არის მოზიდული. „დიდნაურის“ ნაქალაქარის გალავანს ირგვლივ შემოვლებული აქვს 12 მ სიგანის და 3,5 მ სიღრმის თავდაცვითი თხრილი, რომლის გავლებაც, შესაძლოა, მრავალწლიან შრომას მოითხოვდა.

„დიდნაურის“ ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების წარმოება ბოლო დრომდე ვერ ხორციელდებოდა, რადგან მთელი მისი ტერიტორია პრივატიზებული იყო. მიმდინარე წლის გაზაფხულიდან, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ძალისხმევით და მისი დიდი მეცადინეობის შედეგად, ძეგლის მთელი ტერიტორია არქეოლოგიურ ძეგლად იქნა გამოცხადებული, რის საფუძველზე აქ მომავლაში უკვე გეგმაზომიერი სამუშაოების განხორციელებაა შესაძლებელი. თუმცა ამ პრობლემასთან დაკავშირებული რიგი საკითხები კვლავ მოსაგვარებელი ჩანს.

„დიდნაურის“ ნაქალაქარის სამაროვანზე ჩატარებული გათხრების შედეგად ზოგადად განისაზღვრა ქალაქის არსებობის თარიღი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XIII ს. ფარგლებში ექცევა. გათხრილი სამარხების მიხედვით, ჯერჯერობით, სავარაუდოდ, განისაზღვრა მოქალაქეთა სოციალური სტრატიგრაფიის სისტემაც, რომელიც სამი საფეხურით შემოიფარგლა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამაროვანზე გაითხარა გვირგვინოსანი, მაღალი სამხედრო პირის სამარხი, რომელიც არაკავკასიური, სავარაუდოდ მცირეაზიური ბრინჯაოს ისრისპირით იყო განგმირული. როდესაც ეს მასალა დამუშავდება, ბუნებრივია, შევძლებთ ჩვენი წარსულის კონკრეტულ მომენტებზე დაბეჯითებით საუბარს. ცხადია ამ აღმოჩენის შემდეგ, პირველ რიგში, ჩვენ წინაშე დაისახა პრობლემა, დაგვედგინა ამ ცივილიზაციის წარმოშობის საფუძვლები. ამ მიზნით, პირველ რიგში, უნდა აღგვედგინა მისი ჩამოყალიბების პერიოდის პალეოგარემო. ამ სამუშაოებს, არქეოლოგიური გათხრების პარალელურად, სათავეში ჩაუდგა პროფ. **მ. ელაშვილი** თავისი ჯგუფით. გამოკვლეულ იქნა დიდი შირაქის მთელი ტერიტორია, დადგინდა, რომ „დიდნაურის“ ქალაქობის პერიოდში შირაქის ველის ირგვლივი მთაგორები უღრანი ტყით იყო დაფარული, რომელიც საკმაო რაოდენობით შეიცავდა წყლის მარაგს. შირაქის ველზე სამი დიდი მდინარის – „დიდი რუს“, „დიდნაურის“ და „ჩალიანხევის“ კალაპოტები აღმოჩნდა. ნაქალაქარის სამაროვნის ტერიტორიაზე, ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნის სამარხებს ქვეშ სარწყავი არხის არსებობა დაფიქსირდა, რაც ასევე ძალიან ინფორმატიულია ამ მხარეში სოციალურად დაწინაურებული საზოგადოების არსებობის თარიღის განსაზღვრისათვის უკვე ძვ.წ.აღ. XIII საუკუნემდე.

ამგვარად, ამ სამუშაოებს უდიდესი პერსპექტივა აქვს, რადგან თუ მათ სისტემატური ხასიათი მიეცა, შესაძლოა მნიშვნელოვანი სიახლეების მოწმენი გავხდეთ აღმოსავლეთ საქართველოში მისი წარსულის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემის, სახელმწიფოს წარმოშობასთან დაკავშირებით, მისი დაძველების თვალსაზრისით დაახლოებით ერთი ათასი წლით.

დასასრულს არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ „დიდნაურის“ ნამოსახლარზე განსაკუთრებით დიდი მოცულობის საველე არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელება მაღალ პროფესიულ დონეზე შევძელით მხოლოდ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. თავწყაროს მკვიდრთა – **უძილაურების, აფციაურების, ქავთარაძეების და ჯანიაშვილების** თავდადებული დახმარებით. ისინი უკვე ოციოდე წელია, მუშაობენ პრეპარატორებად კახეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე და ამ ხნის განმავლობაში მაღალი რანგის, შეუცვლელ საველე სპეციალისტებად იქცნენ.

სრულიად განსაკუთრებულია დედოფლისწყაროს მოქალაქეთა **დაჩი თავაძის** და **სოლომონ კიკილაშვილის** წვლილი კახეთის ამ მხარის არქეოლოგიურ ძეგლთა გამოვლენასა და შესწავლაში. ისინი, არქეოლოგიისგან საკმაოდ შორს მდგარი სპეციალობის მქონე ადამიანები, თავდავიწყებით არიან შეყვარებული თავის ქვეყანაზე, კარგად იცნობენ თავის მინდორ-ველს და დაკვირვებული თვალით არაერთი არქეოლოგიური ძეგლი აქვთ შენიშნული და აღმოჩენილი, აქტიურად მონაწილეობენ ექსპედიციის საველე მუშაობაში და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ჩვენს გვერდით არიან.

ექსპედიციის სამუშაოებით სისტემატურად ინტერესდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე **ზვიად ჯავახიშვილი** და ყველა საჭირო შემთხვევაში ექსპედიციას ფასდაუდებელ დახმარებას უწევს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავის საპატიო მოვალეობად თვლის, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელს, ქალბატონ **თამარ სანიკიძეს,** საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეს ბატონ **ლევან ხარატიშვილს** და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გენერალურ დირექტორს ბატონ **ნიკოლოზ ანთიძეს,** რომელთა ყოველდღიური თანადგომითა და ფინანსური უზრუნველყოფით გახდა შესაძლებელი ქვეყნისათვის ამდენად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლის გადარჩენა და შესწავლა. დღეს ნაქალაქარი „დიდნაური“ უკვე არქეოლოგიური ძეგლის სტატუსს ატარებს, იგი საიმედოდაა დაცული სახელმწიფოს მიერ და აქვს შემდგომი კვლევის დიდი პერსპექტივა. ამჟამად ეს სამუშაოები მხოლოდ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ ფინანსდება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ ამ მიმართულებით კვლევაში ჩართო მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრი.

მომავალი წლიდან, კახეთის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში მონაწილეობას მიიღებს ამერიკის ბოსტონის ბრიჯვიტერის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოცი სტუდენტი.

ირლანდიის დუბლინის კოლეჯ-უნივერსიტეტი (პროფ. **რონ პინფასი**) უკვე აწარმოებს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მონაპოვარი ადამიანის ძვლოვანი მასალის კვლევას გენეტიკური მიმართულებით (დნმ).

შოტლანდიის ედინბურგის უნივერსიტეტი (პროფ. **ებერჰარდ ზაუერი**) გვეხმარება ექსპედიციის მიერ მონაპოვარი მასალის რადიოკარბონულ კვლევებში.

ესტონეთის ტალინის უნივერსიტეტის ეკოლოგიის ცენტრი (პროფ. **პიუ კოფი**) ამუშავებს ექსპედიციის პალინოლოგიურ და პალეობოტანიკურ მასალას.

გერმანიის ლაიპციგის უნივერსიტეტში (პროფ. **ჰანს ფონ ზუხოდელი**) იკვლევენ ექსპედიციის მიერ მოპოვებულ გეომორფოლოგიურ მასალას.

მომავალში ასეთი ურთიერთობები გაფართოვდება.

კიაზო ფიცხელაური,
კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,პროფესორი.

ქართულ-ჩინური მეღვინეობა-მევენახეობა

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი ლევან უჯმაჯურიძე და ღვინის ეროვნული სააგენტოს დირექტორი გიორგი სამანიშვილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნინსიას პროვინციის მეღვინეობა-მევენახეობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ დირექტორს, ჩაო კაილონგის და აზიის მეღვინეობის ინსტიტუტის პრეზიდენტს ტომი ლემს შეხვდნენ.

შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის მეღვინეობა-მევენახეობის დარგის მიმართულებით დაწყებული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქართული ღვინის ექსპორტის მზარდი დინამიკაა.

ნინსიას პროვინციის მეღვინეობა-მევენახეობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური დირექტორის ჩაო კაილონგის განცხადებით, მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით ჩინეთისთვის საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყანაა.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ პროგრამის „სარტყელი და გზა“ ფარგლებში გათვალისწინებული სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრა და ქართული ვაზის ჯიშთა მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. შეხვედრაზე მხარეებმა ქართული ვაზის სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობის ერთობლივი სურვილი გამოთქვეს და მხარი დაუჭირეს მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში ერთობლივ სამეცნიერო-პრაქტიკულ პროექტებს. ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაციის მიზნით კი დაიგეგმა ჩინეთში ქართული მუზეუმის გახსნა და საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებმა, ღვინის ეროვნულ სააგენტოში სააგენტოს ხელმძღვანელთან გიორგი სამანიშვილთან ერთად, ღვინის ეროვნული სააგენტოს ენოთეკა, მარანი და ღვინის მუზეუმი დაათვალიერეს.

ფრთხილად, „ფოცხს ფეხი არ დავაბიჯოთ“!

თუ თურქეთმა ნატო დატოვა, აშშ ყველაფერს გააკეთებს საქართველოსა და უკრაინასთან სამხედრო თანამშრომლობის გასაღრმავებლად



რუსეთში ფართოდ განიხილავენ გასულ კვირაში მომხდარ საგარეო-პოლიტიკურ მოვლენებს, მათ შორის თურქეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხებს, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის შეხვედრას თავის თურქ კოლეგა რეჯეპ ერდოღანთან სანკტ-პეტერბურგში.

— დღეს რუსეთის ლიდერს, როგორც ჩანს, სულ სხვა წარმოდგენები აქვს პრიორიტეტებსა და მოწინააღმდეგეებზე. პრეზიდენტობის პირველი ორი ვადის განმავლობაში ვლადიმირ პუტინი, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთისადმი პრეტენზიები ჰქონდა, ატარებდა ისეთ იდეას, რომლის თანახმად, რუსეთი ევროპული ქვეყანაა და, შესაბამისად, გათავისებული აქვს ევროპული ღირებულებები და ნორმები. ამჟამად მსგავს აზრებს და პოზიციებს ვეღარ მოისმენ, მით უმეტეს „სამეფო კარის“ პოლიტოლოგებისაგან, დეპუტატებისაგან და ჟურნალისტებისაგან, რომლებმაც სწრაფად აუღეს ალღო ცვლილებებს.

რასაკვირველია, დასავლური მსოფლმხედველობაც იცვლება, თუმცა ეს ცვლილებები იქ უფრო ნელა, მდორედ მიდის, ვიდრე რუსეთში: დასავლეთში, რუსეთთან შედარებით, უფრო ნაკლებად „დისციპლინირებული“ პოლიტიკური სისტემაა. იქ თუ ხანგრძლივი დებატების შემდეგ კურსი იცვლება და თუ „ახალ გზაზე“ დგებიან, ეს ხანგრძლივი პროცესია. დასავლეთში ვერ შეძლებენ, რუსეთის მსგავსად, სწრაფად აუხსნან საზოგადოებას გუშინდელი მტრის დღეს მეგობრად გამოცხადების მიზეზს. ეს მხოლოდ რუსეთში შეიძლება მოხდეს.

* * *

თეზისი „გუშინ მტერი — დღეს მეგობარი“ შეიძლება ბევრისთვის წარმატებულ საგარეო პოლიტიკას ნიშნავს. აი, ხომ შევძელით თურქეთის მოდრეკაო, ამბობენ. მაგრამ რატომღაც ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ თურქეთი დასავლეთი არ არის, არც ევროკავშირის წევრი არაა და ვერც ვერასოდეს გახდება. ანკარა რაც უფრო მეტად „მიაწვება“ და უერთგულებს თავის მიერ არჩეულ „განსაკუთრებულ გზას“, მით მეტად დაშორდება ევროკავშირს და შემდეგ კი ნატოსაც. უფრო მეტიც, ნატოსაგან დაშორება შეიძლება საბოლოოდ ნატოდან გამოსვლაში გადაიზარდოს, თუ რეჯეპ ერდოღანი ხელისუფლებაში დარჩება. ეს სავსებით შესაძლებელია. ნატოდან გასვლის პრეცედენტები იყო: 1967 წელს საფრანგეთმა, შარლ დე-გოლის პრეზიდენტობის დროს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დატოვა და განაცხადა, რომ შეერთებული შტატების დიქტატს არ დაემორჩილებოდა (1974 წელს იგივე ნაბიჯი გადადგა საბერძნეთმაც, კვიპროსზე თურქეთის დესანტის გადასხმის გამო. თუმცა მოგვიანებით თურქეთიც (1980 წელს) და საფრანგეთიც (2009 წელს) ნატოში დაბრუნდნენ). ანკარასაც შეუძლია იგივე გზით წავიდეს და ამერიკელებს ჯერ მათი ბაზების გაუქმება მოსთხოვოს, შემდეგ კი (ნატოს წესდების მე-13 მუხლის თანახმად), განაცხადოს, რომ ტოვებს ამ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციას და ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად აცნობოს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ალბათ, მოვლენების ასეთი განვითარება კრემლისთვის სასიხარულო იქნება, მაგრამ ეს ხომ ხაფანგში თავის გაყოფას ნიშნავს: ტაქტიკური მოგება შეიძლება სტრატეგიულ წაგებად შემოგვიბრუნდეს, რაც ცხოვრებაში ძალიან ხშირად ხდება, მით უმეტეს, საერთაშორისო დიპლომატიაში. გასაგებია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან თურქეთის გასვლით შავი ზღვის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთში ნატოს პოზიციები მკვეთრად შესუსტდება, მაგრამ სამაგიეროდ, დასავლეთი და აშშ ყველაფერს გააკეთებენ თავიანთი მოკავშირეების, თურქეთის მეზობელი ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის კონსოლიდირებისათვის, შემდეგ კი მათ უკრაინა და საქართველოც შეუერთდება. თბილისი და კიევი ნატოშიც რომც არ გაწევრიანდნენ, მათ სავსებით შეუძლიათ აშშ-სთან ორმხრივი სამხედრო ურთიერთობები გააფართოონ და ნება დართონ ვაშინგტონს მათ ტერიტორიაზე აშშ-ის მსხვილი სამხედრო ბაზები განალაგოს (და ეს ყველაფერი საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული პრობლემების მიუხედავად). მოკლედ, ისე მოხდება, როგორც ეს იაპონიასთან და სამხრეთ კორეასთან მიმართებით მოხდა. ამ შემთხვევაში ნატოს ფლოტი შავი ზღვის აკვატორიაში უკვე მუდმივ საფუძველზე იქნება. აბა, მონტრეს კონვენცია რისთვისღა არსებობსო, იკითხავთ. მონტრეს კონვენცია ყველა უბედურების წამალი ვერ იქნება.

ყველასთვის შესამჩნევია, რომ რეჯეპ ტაიპ ერდოღანი მაინცდამაინც პროგნოზირებადი პოლიტიკოსი არ გახლავთ, რაც ბოლო მოვლენებმაც დაადასტურა. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა მის პირად ხასიათზეა დამოკიდებული, ვთქვათ, იგივე ამერიკასთან. თურქეთის ინტერესები რუსეთის ბევრ პოზიციას ეწინააღმდეგება — ახლო აღმოსავლეთში, კავკასიაში, უკრაინაში და ცენტრალურ აზიაშიც კი. ეკონომიკური თანამშრომლობა კი ყოველთვის ვერ ასრულებს სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციისაგან დაზღვევის როლს (ამაში ჩვენ ევროკავშირთან ურთიერთობამაც დაგვარწმუნა). ვფიქრობ, რომ გრძელვადიან გეგმებში რუსეთისა და თურქეთის განსხვავებული პოზიციები ჩვენ ახლანდელ სასიამოვნო განწყობას დაპირისპირებად შეცვლის. გარდა ამისა, თურქეთის ისლამიზაცია ხდება, რაც სამომავლოდ რუსეთისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს: რა უფრო გვიჯობს — ჩვენს გვერდით არსებული 80-მილიონიანი ისლამური სახელმწიფო, ევროპაში ყველაზე დიდი არმიით და, პერსპექტივაში, ალბათ, ბირთვული იარაღით აღჭურვილი თუ დღევანდელი ნატოს მყიფე სამხრეთული ფლანგი და ინჯირლიკის ბაზა, სადაც ბირთვული ბომბების საწყობს ამერიკა აკონტროლებს?

ალექსეი არბატოვი,
აკადემიკოსი
„ოგონიოკი“

კონფლიქტები აფხაზურ ელიტაში მოსკოვს ქანცავს...

პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში რუსულ საექსპერტო საზოგადოებაში გარკვეულ შეშფოთებას იწვევს. მათ კერძოდ, პოლიტიკური ბრძოლის რადიკალიზაცია და აფხაზეთის „განვითარების რეჟიმში“ გადასვლის პერსპექტივის არარსებობა აშფოთებთ. მეცნიერისა და ექსპერტის ანტონ სერიკოვის შეფასებით, საზოგადოების შიგნით დიალოგის გარეშე კრიზისიდან გამოსავალი არ იქნება.

სერიკოვი საკმაოდ კრიტიკულად არის განწყობილი აფხაზური ოპოზიციის სამოქმედო პროგრამის მიმართ.

„ოპოზიციონერები ასლან ბჟანიას თაოსნობით, ვფიქრობ, არ არიან მზად, უარი თქვან საკუთარ ინტერესებზე ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად. თუმცა არც თავად ხელისუფლებაა მზად მასთან ურთიერთობისთვის. ბოლო დროის განმავლობაში მათ საბოლოოდ გაიფუჭეს ურთიერთობები და გარდა ამისა, აფხაზური საზოგადოების განვითარების ვექტორის საკვანძო საკითხებში დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციები აქვთ. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ოპოზიციას აფხაზეთში არა მარტო არ ჰყავს პოპულარული და გავლენიანი ლიდერები, რადგანაც პოლიტიკური ველი ჯერ კიდევ რაულ ხაჯიმბას მოსვლამდე გაიწმინდა, არამედ არ აქვს არც აფხაზეთის „ალტერნატიული განვითარების“ მეტ-ნაკლებად გააზრებული პროგრამა“, — თვლის სერიკოვი.

ამასთანავე, ექსპერტები და მათ შორის სერიკოვიც ფიქრობენ, რომ აუცილებელია გადამჭრელი ზომები, რომელიც შემდგომი ეკონომიკური განვითარებისთვის წინაპირობებს შექმნის. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკური კრიზისების რიგი არ დასრულდება.

„ეკონომიკურ პოლიტიკაში ამჟამად ძირითად პრიორიტეტად კორუფციასთან და ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლა უნდა იქცეს. მცირე და საშუალო ბიზნესი, მათ შორის — ტურისტულ სექტორში აფხაზეთში დიდწილად ჩრდილოვანია, ბიუჯეტში შემოსავლების მხოლოდ ნაწილი ხვდება. ძირითად ამოცანებს განეკუთვნება ასევე ბიზნესის განვითარება და თავად სახელმწიფოს თანდათანობითი გასვლა ამ სფეროთი მანიპულირებისაგან“, — ამბობს ანტონ სერიკოვი.

„სამართლებრივი ბაზა ზღუდავს უცხოელების შესაძლებლობას, ფლობდნენ საკუთრებას აფხაზეთში, ეს ინვესტიციებისა და კვალიფიციური სპეციალისტების შედინებას უშლის ხელს. ამასთან, მიწის რესურსების მართვა არაეფექტურად ხორციელდება. მნიშვნელოვანია, რესპუბლიკაში არსებული ქონების პასპორტიზაცია ჩატარდეს და სიები შედგეს, ასევე მკაცრი კონტროლი გაეწიოს მშენებლობას, განსაკუთრებით — ბარბაროსულ თვითნებურ ქმედებებს ზღვის სანაპიროზე. ეკონომიკის რეალური სექტორის განსავითარებლად საჭიროა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ელექტროქსელები და გზები) — ამის გარეშე არანაირი საინვესტიციო აქტივობა არ იქნება. აუცილებელია იმ დარგების განვითარება, რომლებიც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეძლებს — ჯერჯერობით, აფხაზეთი ამ მხრივ ძალზე დამოკიდებული სახელმწიფოა“, — თვლის სამხრეთ ფედერალური უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და რეგიონთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

საექსპერტო თანამეგობრობის წარმომადგენლები აფხაზეთში გაუთავებელი პოლიტიკური დაპირისპირებებით მოსკოვის „გადაღლილობას“ უსვამენ ხაზს, ასევე იმას, რომ ეს შეესაძლოა, რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობებზე აისახოს.

„კონფლიქტები აფხაზურ ელიტაში ერთმნიშვნელოვნად ქანცავს მოსკოვს. ხელისუფლებაში რაულ ხაჯიმბას მოსვლას მოსკოვში ელოდნენ, მას რუსეთში მხარდაჭერა გამოუცხადეს, როგორც იმ მომენტისთვის პოპულარულ ფიგურას აფხაზეთში. და ახლაც რუსეთის ფედერაცია ერთმნიშვნელოვნად დაუჭერს მხარს მოქმედ პრეზიდენტს“, — თვლის სერიკოვი.

რაულ ხაჯიმბა:

ყველა უმკაცრესად დაისჯება!

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა დე ფაქტო საზღვარზე მესაზღვრეებისა და მებაჟეების მუშაობით ნამეტნავად უკმაყოფილოა.

როგორც მან გუშინ ე.წ. აფხაზეთ-საქართველოს საზღვარზე არსებული ვითარებისადმი მიძღვნილ თათბირზე აღნიშნა, „საქართველოდან აფხაზეთში კვლავინდებურად დიდი რაოდენობით პროდუქტი ხვდება“.

„ჩვენში ბევრი პატრიოტი გაუთავებლად საუბრობს ყველაფერზე, მაგრამ რატომღაც ვერ ხედავს, რომ საქართველოდან საქონლის დიდი რაოდენობა შემოაქვთ. რატომ უნდა დავტოვოთ გარკვეული ადამიანების ხელში ფული, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტში უნდა შედიოდეს?! ამ მიმართულებით მესაზღვრეებისა და მებაჟეებისგან კონტროლის გამკაცრებას მოვითხოვ. რატომ უნდა დემპინგობდეს ვინმე ჩვენს ბაზარზე და ამით უარეს პირობებში აყენებდეს ჩვენს გლეხებს, თანაც ისე, რომ საზღვრის გადმოლახვისას არსად არაფერს იხდიდეს?! საზღვრის გაძლიერებით ჩვენ დავამტკიცებთ, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, შესაბამისი ინსტრუმენტებით, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტი ივსება და არა ცალკეულ პირთა ჯიბეები“, — აღნიშნა ხაჯიმბამ.

ამასთან, მან შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები მოიშველია:

— აგერ, ენგურისა და ფსოუს საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე ნიგვზის გატანის მაჩვენებლების ცხრილი მომიტანეს. იგი განსხვავდება იმ მონაცემებისგან, რომელიც ჩემთვის იყო ცნობილი. გამაჩნია ინფორმაცია მანქანების სანომრე ნიშნების, აფხაზეთიდან საქართველოში გატანილი ტვირთის მოცულობისა და იმ ადამიანების გვარ-სახელების თაობაზე, რომლებიც ამ ბიზნესით არიან დაკავებულები. მოცულობა 2-3-ჯერ აღემატება ასახულ ციფრებს! — განაცხადა რაულ ხაჯიმბამ და იქვე დასძინა, რომ ყველას უმკაცრესად მოეკითხება, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ჩათვლით!

პედერასტია დიდი ძალა ყოფილა!



ოჯახი რომ ქალისა და მამაკაცის კავშირის ერთადერთი და წყალგაუვალი დამადასტურებელია 21-ე საუკუნის მეორე დეკადამდე კითხვის ნიშნის ქვეშ არვის დაუყენებია. ამ დღესაც ვეღირსეთ. დღეს, არათუ კითხვის ნიშნები ჩნდება, არამედ ტრადიციულ ოჯახს „მეტოქეც“ გაუჩნდა არატრადიციულთა გააქტიურებული მოქმედების წყალობით. თუ ოჯახი მამაკაცისა და ქალის ურთიერთობით იქმნება, რატომ არ შეიძლება კაცისა და კაცის ან ქალისა და ქალის ურთიერთობიდან გამომდინარე შეიქმნას ოჯახი?

ის, რომ ერთნაირი სქესის მატარებლები ერთმანეთთან ამყარებენ სქესობრივ კავშირებს, არახალია. მას დიდი და „მდიდარი“ ისტორია აქვს, მაგრამ დღემდე ოჯახის შექმნის პრეტენზია არ გასჩენია. დღეს, არათუ გაუჩნდა, არამედ ჯიქურ მოითხოვს იმას, რასაც აქამდე ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის, ოჯახის მონოპოლია ერქვა. ერთნაირსქესიანები ითხოვენ ოჯახის შექმნის დაკანონებას და აღწევენ კიდევაც.

სოკოებივით მომრავლდნენ ქვეყნები, სადაც კანონითაა განმტკიცებული ერთნაირსქესიანთა ქორწინება. ასეთი ქვეყნების ჩამონათვალში პირველობა ამერიკა-ევროპას უკავია და მიუხედავად ამ ქვეყნების მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის საწინააღმდეგო მოსაზრებისა, ერთნაირსქესიანთა აღზევებას წინ ვერაფერი უდგება.

მამათმავალთა და დედათმავალთა აგრესიული მდინარე ვულკანიდან ამოფრქვეულ ლავას ჰგავს, დინების დროს რომ სპობს გარემოს და ფერფლად აქცევს. როგორც ჩანს, კაცობრიობა კატასტროფულად იცვლება – ტრადიციულს ივიწყებს და არატრადიციულზე გადადის, რაც უდავოდ, უარყოფითად აისახება მასზე. მაგრამ ვინ უგდებს ყურს ტრადიციონალისტთა სიბრაზეშერეულ განცხადებას?!

ვინ დაუგდო ყური გეი-ქორწინების საწინააღმდეგო სახალხო გამოსვლას პარიზსა და სხვა ქალაქებში? მაშინ მილიონზე მეტი ფრანგი მოითხოვდა გეი-ქორწინების დაუკანონებლობას. ხელისუფლებამ ყურიც კი არ ათხოვა პროტესტანტებს, კანონიც მიიღო და გეი-ოჯახებს შვილის აყვანაც დაუკანონა.

„ცუდი მაგალითი გადამდებია“ და ერთნაირსქესიანთა მიერ ოჯახის შექმნა ლათინური ამერიკის და სხვა კონტინენტების ძალიან თანამედროვე და უზომოდ „ლიბერალურმა“ ხელისუფლებებმაც გაიზიარეს. სხვაგვარი რამ წარმოუდგენელიც იქნებოდა, ვინაიდან ამისკენ მსოფლიოს პირველ ქვეყნად წოდებული მოუწოდებს ყველას. პრეზიდენტი ობამა ერთობ კმაყოფილია გეი-ქორწინების დაკანონებით და ვინც ამას არ აკეთებს, მკაცრად აკრიტიკებს.

არ გააკეთა რუსეთმა და მას შემდეგ ლანძღვა-გინება არ მოკლებია პრეზიდენტ პუტინს გეი-პროპაგანდის აღკვეთისთვის. პუტინს გეი-ცხოვრება კანონგარეშედ არ გამოუცხადებია, არც ვინმე შეურისხავს პედერასტობისთვის ისე, როგორც ამას საბჭოთა კავშირის დროს აკეთებდნენ. მან კანონით აკრძალა გეი-ქორწინება და ამ თემაზე საჯარო განცხადებების გაკეთება. მთელმა დასავლეთმა პუტინი ლამის კაცობრიობის მტრად გამოახცადა და „ჯვაროსნული“ დევნაც მოუწყო. პუტინი რომ ოპოზიციას დასავლეთის მიერ დაფინანსებულს, ფეხქვეშ ფიანდაზად გაეგოს და სულ ხელისგულზე ატაროს, დასავლელთა გულს ვერ მოიგებს, ვინაიდან გეიმოძულე დიქტატორია.

მაინც რა ძალა ჰქონია პედერასტიას?!

დიახ! ძალა აქვს, ვინაიდან რახანია გეებმა სახელმწიფო სტრუქტურებში, ჯარში, პოლიტიკაში და ა.შ. შეაღწიეს და თავს ისე ლაღად გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. მათი აქტიური მოქმედებით განხორციელდა „ცისფერი ოცნების“ გაპიარება და ერთ დროს აკრძალული, სასირცხვილო საქმის საჯაროზე გამოტანა და მისთვის ლამის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულის ტიტულის მინიჭება.

ხელისუფლებაში მოკალათებულმა გეებმა უზრუნველყვეს ლეგალიზაციაც და კანონიერების ჩარჩოებში მოქცევაც. გეი ცხოვრების აღზევების დამახასიათებელია გეი-აღლუმების ჩატარება. მათი ინტენსიურობა თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდება, ისე, როგორც მონაწილეთა რაოდენობა.

გეი-აღლუმები შემოსავლის წყაროცაა, ვინაიდან მასში მრავალი ქვეყნის გეები იღებენ მონაწილეობას. აღლუმები კარნავალს ჰგავს, დაახლოებით ისეთს, ბრაზილიაში რომ ეწყობა – მრავალფეროვანი სანახაობით, ათეულ-ათასობით მაყურებლით. სულ ახლახანს, ამსტერდამის არხებში გრანდიოზული გეი-პარადი გაიმართა. ათეულ-ათასობით მაყურებელი მიესალმა მორთულ-მოკაზმულ გემებზე თავმოყრილ მოზეიმე გეებს, მათ შორის ცნობილ მომღერალ კონჩიტა ვურსტს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში, მაგალითად უკრაინაში გეი-პარადში მონაწილეობის მისაღებად ევროკავშირის მაღალჩინოსნებიც ჩავიდნენ, ისე, როგორც მოლდოვაში. საქართველოში ჯერ არ გამოსდით, მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება. მაინც რა მუშაობაზეა ლაპარაკი?

ტელეეკრანებიდან უხვად იღვრება ამ თემასთან დაკავშირებული განცხადებები, სხვადასხვა სახის ჭორმართალი, თვით გეების მიერ მონათხრობი. ყურს აჩვევენ მაყურებელს. შეაჩვიეს კიდევაც. დღეს, საზოგადოებას აღარ აღიზიანებს, როდესაც მავანი „ქალბატონი“ სიამაყით იტყვის – სექსს ორალურით ვიწყებო და მის გარეშე სექსუალურ ურთიერთობას არაფრად ვაგდებო. ან როდესაც ერთ-ერთ ტელე-შოუში წამყვანი გოგონა მოწვეულ სტუმარს ეკითხება, რა სიგრძის ასო გაქვსო.

საზოგადოება მიეჩვია იმას, რაც 25 წლის წინათ სიზმარშიც შეუძლებლად მიაჩნდა. დღეს გეობა, მეძავობა საამაყო რამ არის. თუ გეი ან მეძავი ხარ, მაგარი ხარ. საქართველოში არ ტარდება გეი-აღლუმები, მაგრამ – ჯერჯერობით. მოვა დრო და ჩატარდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მედასავლეთე პოლიტიკასა და ხელისუფლებას პრობლემები შეექმნება. დასავლეთი არ ჩქარობს. ის, ისე იქცევა, როგორც, მსხვერპლს შემოხვეული მახრჩობელა გველი. დღეს თუ არა ხვალ მოგვგუდავს და არათუ გეი-აღლუმს ჩაგვატარებინებს, დედიშობილა გვარბენინებს, რუსთაველის პროსპექტზე.

არა! – შემედავა მავანი. – მე „კოლგოტკებს არ ჩავიცვამ. შენ არ ჩაიცვამ, არც მე, მაგრამ ჩვენ უმცირესობაში ვართ და ვიქნებით, უმრავლესობა კი სხვაგვარად აზროვნებს-მეთქი. არაო!, – არ დამეთანხმა. ნეტავ ასეთი „არა“ ბევრი იყოს!

შექმნილი ვითარება სხვას გვიკარნახებს და უნებლიედ ბადებს კითხვას – რა ვიღონოთ? ამ კითხვას ზოგიერთმა პარტიამ თავისებურად უპასუხა – ხელმოწერები შეაგროვა, რეფერენდუმის ჩატარების მიზნით. თემა – ქალისა და მამაკაცის მიერ შექმნილის, ანუ ოჯახის კანონიერება, არავითარი გეი-ქორწინება და ა.შ. – რეფერენდუმი ერთობ სერიოზულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ იხსნის ის საქართველოს?

ვეჭვობ და აი, რატომ, უპირველესად იმიტომ, რომ გეიცხოვრება, ესოდენ დაფასებული დასავლეთში, თვით დასავლელთა კარნახით მიუღებელი არ უნდა იყოს ევროპაში შესული ქართველისთვის და მეორეც, საქართველო ხომ იღვწის ევროკავშირში შესასვლელად?

დიახ! საქართველოს თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია და ხელისუფლება თავდავიწყებით აცხადებენ, რომ ჩვენი ადგილი ევროპაშია, საქართველო უნდა დაბრუნდეს ევროპაში და ა.შ. არავინ კითხულობს, როდის იყო საქართველო ევროპაში. არც იმას კითხულობს, შეძლებს თუ არა საქართველოს მოსახლეობა ჩაებას ისეთ სამუშაო რიტმში, როგორიც იქ არის.

არვინ ფიქრობს, რომ ევროპულ ოჯახში შესვლის შემდეგ იქაური ქუდი უნდა დაიხურო, იქაური ცხოვრების წესი გაიზიარო, იქაური კანონებით იხელმძღვანელო, იქაური უნდა გადააქციო უზენაეს კანონად საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში. საკუთარი სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა თუნდაც ფორმალური, არარაობად აქციო.

ევროკავშირის წევრი საქართველო ვერ შეძლებს არაევროკავშირის წევრ ქვეყანასთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებას ბრიუსელელ ბოსებთან შეუთანხმებლად. ევროკავშირელი საქართველო მთელ რიგ საკითხებში შეზღუდული იქნება.

სულ ახლახანს ვუსმენდი ბულგარეთის პრემიერ-მინისტრის ბოიკო ბორისოვის ინტერვიუს, ტელეკომპანია RT-ს ჟურნალისტთან. პრემიერმა ოსტატურად აუარა გვერდი შეკითხვას გაზის პროექტთან დაკავშირებით. შეთანხმების მიხედვით, ბულგარეთი უნდა ყოფილიყო რუსული გაზის არა მარტო ტრანზიტორი ქვეყანა, არამედ მთავარი გამანაწილებელიც ევროპის სამხრეთში.

რუსეთთან მიღწეული შეთანხმება სოფიას თავზე დაახიეს, როგორც ბრიუსელმა, ისე ვაშინგტონმა. ბულგარეთმა უარი „თქვა“ პროექტზე, რითიც მილიონობით დოლარი დაკარგა. არადა, ევროკავშირის წევრი, უღარიბესი ბულგარეთისთვის „გაზპრომის“ მილიონები ჟანგბადის „ბალონს“ ჰგავდა. ბულგარეთის საშუალო თვიური ხელფასი 304 ევროა, ხოლო უმუშევრობის დონე 15%. ერთ დროს მოსახლეობით 10-მილიონიანი ქვეყანა, 7 მილიონზე დავიდა.

ერთ მაგალითს მოვიყვან – ულტრანაციონალურ, უკრაინას გულზე არც გეები ეხატება და არც გეი-პარადები, რაც დიდ მინუსად ჩაუთვალა ვაშინგტონ-ბრიუსელმა. ოღონდ ევროპასთან დაგვაახლოვეთ – პარადსაც ჩავატარებთ და „ელგებეტეს“ (LGBT) სულ გუნდრუკს ვუკმევთო – შეპირდა უკრაინის პრეზიდენტი დასავლეთს და გეი-პარადიც ჩაატარა.

დიახ! რეფერენდუმის ამ თემაზე ჩატარება კარგია, მაგრამ გაცილებით უმჯობესი იქნებოდა დასავლეთთან ურთიერთობის საკითხებში რეფერენდუმის გამართვა - თემა, გვინდა თუ არა ნატოში და ევროკავშირში შესვლა?!

რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში მოქცეული საქართველოს პოლიტიკა სხვას მოითხოვს – უპირველესად მეზობლების ინტერესების გათვალისწინებას. ვირტუალურად წარმოვიდგინოთ ნატოში შესულ საქართველოსთან დამოკიდებულება ევრაზია-ოდეკაბეში (ОДКБ) მყოფი სომხეთის, დასავლეთის მიმართ ამრეზილი აზერბაიჯანის, არანაკლებ ამრეზილი თურქეთის და ლამის მტრად შერაცხილი რუსეთის. მხედველობაშია მისაღები ირანის დამოკიდებულებაც ამერიკისადმი.

ზემომოყვანილი ქვეყნები ამ რეგიონის მკვიდრნი არიან და ისინი ნაკლებად შეეგუებიან მესამე ძალის გამოჩენას. დასავლური, კერძოდ ამერიკული ფულით მოხიბლული საქართველოს პოლიტიკა ანგარიშს არ უწევს ამიერკავკასიის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ისე, როგორც უკრაინამ არ გაუწია და პასუხად დაკარგული ყირიმი და დონეცკ-ლუგანსკი მიიღო.

ქართული პოლიტიკა არც იმას უწევს ანგარიშს – რა მიიღო ცხინვალთან ომის გაჩაღებით. ის ალბათ გულში ფიქრობს – რაც დასაკარგი იყო, უკვე დავკარგეთ და სხვა რაღა უნდა დავკარგოთო. მცდარი პოზიციაა. საქართველოს, 20%-ით შეკვეცილს, მაინც აქვს დასაკარგი, ამდენად, ვიდრე რაღაცის სათქმელად მოვემზადებით, უნდა დავფიქრდეთ და ისეთი არ ვთქვათ, სანანებელი გაგვიხდეს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

გადატრიალების შემთხვევაში ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი შეჩერდებოდა

თურქეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრ აჰმეტ არსლანის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ თურქეთში სამხედრო გადატრიალება განხორციელდებოდა, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა შეჩერდებოდა.

ამის შესახებ არსლანმა თურქული სააგენტო Anadolu-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ამ შემთხვევაში დიდი საფრთხის ქვეშ თურქეთის სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც დადგებოდა.

არსლანის თქმითვე, როგორც გაირკვა, ერთ-ერთი მიზანი, რომელიც პუტჩისტებს ამოძრავებდა, სწორედ თურქეთის სატრანსპორტო პროექტების რეალიზაციის პარალიზება იყო.

რიო – 2016

ეს ტრიუმფია საქართველოსი!

ძალოსნობა
ერს სალბუნად დაედო

2016 წლის 16 აგვისტო ოქროს ასოებით ჩაეწერება ქართული ოლიმპიზმის ისტორიაში - ამ დღეს ჩვენმა ძალოსნებმა სწორ-

რუპოვარ წარმატებას მიაღწიეს რიოს ფიცარნაგზე: 22 წლის საჩხერელმა მძიმეწონოსანმა ლაშა ტალახაძემ ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდები დაამყარა, ხოლო 31 წლის ჩაქველმა ირაკლი თურმანიძემ ამავე წონაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პირთამდე სავსე დარბაზის წინაშე ორი ქართველი გოლიათი იდგა ოლიმპიურ კვარცხლბეკზე და სიხარულის ცრემლით სავსე თვალებით შეჰყურებდნენ, თუ როგორ მიფარფატებდა ხუთჯვრიანი ეროვნული დროშა მაღლა და მაღლა...

მძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში რამდენიმე სახელოვანმა ათლეტმა მოიყარა თავი, მათ შორის – 2012 წლის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა, 2010 და 2011 წლების მსოფლიოს ირანელმა ჩემპიონმა ბეჰდად სალიმ კორდასიაბმა, მსოფლიოს შარშანდელმა და ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა ლაშა ტალახაძემ, 2015 წლის კონტინენტის პირველობის გამარჯვებულმა ირაკლი თურმანიძემ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორებმა – სომეხმა გორ მინასიანმა, ესტონელმა მარტ სეიმმა და სხვებმა. უპირველეს ფავორიტად ლაშა ტალახაძეს მიიჩნევდნენ და მანაც არ დააღალატა ქომაგები: ოლიმპიადაზე ექვსივე ცდა წარმატებით გამოიყენა – მესამე მისვლისას 2015 კილოგრამით ატაცში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წუთით, რადგამ ირანელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქართველის მიღწევა მესამე ცდაზე კილოგრამით გააუმჯობესა. ოქროს მედლის ბედი აკვრას უნდა გადაეწყვიტა. ტალახაძემ ამ მოძრაობაში პირველ ცდაზე 242-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა. ასპარეზობის ეშხით გატაცებულმა ირანელებმა თავიანთი ჯილასთვის 245 კილოგრამი შეუკვეთეს, მაგრამ სალიმმა საწყისი წონა ვერც ერთ ცდაზე ვერ დაძლია და საბოლოოდ შეუფასებელი დარჩა. ტალახაძე მხოლოდ საკუთარ თავსა და რკინასთან პაექრობას განაგრძობდა: მესამე ცდაზე 258 კილოგრამი აკრა, ორჭიდში 473 კილოგრამი მოაგროვა, ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა და ჯერ კიდევ 2000 წელს ირანელი ჰოსეინ რეზა ზადეს დამყარებული მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდები კილოგრამით გაუმჯობესა.

უმცროს მეგობარს ირაკლი თურმანიძეც არ ჩამორჩა: ჩაქველმა სპორტსმენმაც ექვსივე ცდა ჩინებულად გამოიყენა, 207 კილო აიტაცა, 241 კილოგრამი აკრა და ორჭიდში 448 კილოგრამით მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენებურს ორჭიდში 3 კილოთი აჯობა და ოლიმპიური ვერცხლის მედალი სომეხმა გორ მინასიანმა დაისაკუთრა.

ლაშა დიდია

მინაწერი: *შემთხვევით არაფერი ხდება. მართლაც, დაუკვირდით გვარებს და ყველაფერს მიხვდებით: ახტალის ტალახის სამკურნალო აბაზანები, თურმანიძის მალამო. მიხვდით, ხომ?*

ჭიდაობა
ბოლომდე ვერ იშმაგა



რიოში საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში შმაგი ბოლქვაძემ (66 კგ) მოუტანა: ახალგაზრდებში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონმა და უფროსებში ევროპის ჩემპიონატის წლევანდელმა მესამე პრიზიორმა ქართველმა ფალავანმა პირველ წრეში ფინელი ტერო სეპო ვალიმაეკი დაამარცხა – 3:0, მერე ირანელ ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონ ომიდ ნოროოზს დაუპირისპირდა, იმ მოჭიდავეს, რომელმაც 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადის ფინალში რევაზ ლაშხი დაამარცხა. თუმცა ეს 60 კილოგრამში მოხდა, მერე ნოროოზმა 66 კილოში გადაინაცვლა და 30 წლისაც გახდა. რვა წლით უმცროსმა ბოლქვაძემ გამოცდილ ირანელს ჯიგრულად შეუტია, პასიურობისთვის არბიტრებს ორჯერ გააფრთხილებინა და გაიმარჯვა. ნახევარფინალში შმაგი მსოფლიოს 2014 წლის სერბ ჩემპიონს – დავორ სტეფანეკს შეება. ქართველი ფალავანი გაშმაგებით უტევდა მეტოქეს, მაგრამ კორეელმა არბიტრმა რატომღაც ჩვენიანი გააფრთხილა და ჩოქბჯენში ჩააყენა. ეტყობა, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ნენად ლალოვიჩის ხათრით – სხვა ახსნა ვერ გვიპოვია. მსოფლიოს ჩემპიონმა შანსი უნაკლოდ გამოიყენა, მით უმეტეს, რომ ბოლქვაძემ ვერ შეძლო სათანადოდ თავის დაცვა და სერბს ფანდების ჩატარების საშუალება მისცა. მანაც შვიდი ქულა აართვა ჩვენებურს და გაიმარჯვა. ბრინჯაოსთვის გადამწყვეტ პაექრობაში ბოლქვაძემ იაპონელი ტომოჰირო ინუე დაამარცხა მინიმალური ანგარიშით და მესამე ადგილი დაიკავა. იმავე დღეს ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობის გამარჯვებული რევაზ ნადარეიშვილი (98) ბულგარელთა მსოფლიოს ჩემპიონ ელის გურთან დამარცხდა – 2:3 და ოლიმპიადას დაემშვიდობა.

გივი გაგუა

ლეგენდა

ტედი რინერი:
„ახლა დასვენება მჭირდება“

რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის სახეობის გაუთვალისწინებლად თუ ვინმე ფავორიტად სახელდებოდა, მათ შორის ერთ-ერთი პირველი ტედი რინერი იყო. ფრანგი მძიმეწონოსანი ძიუდოისტი ბრაზილიაში მსოფლიოს 8-გზის, ევროპის 5-გზის და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის რანგში ჩავიდა და უმდიდრეს კოლექციას კიდევ ერთი „ოქრო“ შემატა, თუმცა ფინალში იაპონელი ჰასაიოში ჰარასავას ძლევა გვარიანად გაუჭირდა. მიქს-ზონაში ფრანგი გოლიათის ჩასაწერად უამრავი ჟურნალისტი შეიკრიბა. საუკეთესო პოზიციები, რა თქმა უნდა ფრანგულ ტელე და მედია ჟურნალისტებს დაუთმეს, იქვე იყო გავლენიანი ტელევიზიებისა და გამოცემების ზონა, რომლებსაც პრეს-ლოჟაშიც კი მონიშნული აქვთ თავისი ადგილები.

„დღეს ჩემს ცხოვრებაში უდიდესი დღეა, რადგან კოლექციას ახალი ოქროს მედალი შეემატა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ოჯახის წევრები, მეგობრები და გულშემატკივრები გავახარე. მათგან უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობდი, რისთვისაც მადლობას ვუხდი. რიოს ოლიმპიური თამაშები ჩემთვის საკმაოდ მძიმე იყო, რადგან ტრავმა მაწუხებდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, შევძელი ოცნების ასრულება – მეორედ გავხდი ოლიმპიური ჩემპიონი. ძალიან მიყვარს ეს საქმე და თითოეული გამოწვევა. ყოველთვის ვცდილობ, ბოლომდე დავიხარჯო და მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლო, რადგან განსაკუთრებული შეგრძნებაა, როცა პირველ ადგილზე გადიხარ. ძალიან მიყვარს ჩემპიონობა. ახლა კი დასვენება მჭირდება და უახლოესი თვეების განმავლობაში თავს ამის უფლებას მივცემ. ძალები უნდა აღვიდგინო“ – განაცხადა ლეგენდარულმა ფრანგმა ძიუდოისტმა.

კოგა კოგახიძე

ფეხბურთი

პენალტსაც გატანა უნდა

გულშემატკივრები დღესაც ირონიულად იხსენებენ არგენტინელი ბომბარდირის მარტინ პალერმოს მიერ ერთ

შეხვედრაში გამოუყენებელ ერთბაშად სამ (!) პენალტს.

თითქოს თანამემამულის ანტირეკორდის გაუმჯობესებას ცდილობსო, მარადონას ყოფილ სიძეს სერხიო აგუეროს ბუქარესტში „სტიუასთან“ გამართულ ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის პირველი რაუნდის საწყის ოც წუთში თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ზედიზედ ორი „იაღლიში“ მოუვიდა: ჯერ მასპინძელთა მეკარე პიტასთან წააგო დუელი, ხოლო შემდეგ ბურთი ღრუბლებში დაუშვა.

სტუმართა ახალ თავკაც პეპ გვარდიოლასთვის საბედნიეროდ, მისი ახალი გუნდის ლიდერი მალევე მოეგო გონს და თავი ჰეთ-თრიქით, გამოიჩინა, სილვამ და ნოლიტომ კი რუმინელთა რბევა დაასრულეს – 5:0.

დანარჩენი შედეგები: „აიაქსი“ – „როსტოვი“ 1:1, „იანგ ბოიზი“ – „გლადბახი“ 1:3, ზაგრების „დინამო“ – „ზალცბურგი“ 1:1, „კოპენჰაგენი“ –„ლარნაკა“ 1:0.

გიორგი შოთაძე

კალათბურთი

კოპონენი „ბარსელონაში“ ითამაშებს

ფინეთის საკალათბურთო ნაკრების ლიდერი პეტერი კოპონენი კარიერას ესპანურ „ბარსელონაში“ გააგრძელებს. კატალონიელებმა 28 წლის კალათბურთელი რუსული „ხიმკიდან“ გადაიბირეს, სანაცვლოდ კი მხოლოდ 300 ათასი დოლარი გადაიხადეს.

გასულ სეზონში კოპონენი ხიმკელთა მაისურით ევროლიგაში საშუალოდ 9.3 ქულას და 2.5 პასს აგროვებდა, ვთბ-ლიგაში კი მისი საშუალო მონაგარი 11.6 ქულა და 3.6 პასი გახლდათ.

საინტერესოა, რომ პეტერიმ პროფესიული კარიერა 2004 წელს დაიწყო და მას შემდეგ, მხოლოდ სამ კლუბში უთამაშია. „ხიმკამდე“ ის ფინური „ჰონკას“ და იტალიური „ბოლონიას“ ღირსებას იცავდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ თითქმის ნატურიდან

ფოლორცა სამართალი

— ძმაკაც, დღეს რაღაც მხიარულად გამოიყურები, — ეუბნება ალეკო ყველასთვის უცნობ მწერალს მამუკა შალამბერიძეს, — მამაშენს ფული ისევ დასცინცლე?

— მამაჩემს არა, მაგრამ ამიერიდან ბაზარს დავცინცლავ იმდენ ფულს, რამდენიც მომეპრიანება.

— რომელ ბაზარს, სიმონ, დეზერტირისას თუ ნავთლუღისას?

— წიგნისას!

— წიგნისას? — შეიცხადა ალეკომ, — ასეთი ბაზარი რომ არ გამიგია?

— არ იყო და რას გაიგებდი, მეც გუშინ შევიტყვე, თურმე ამერიკაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, იქაურთა წაბაძვით, საქართველოშიც ხსნის წიგნის ბაზარს.

— გინდა თქვა, რომ ამერიკელი კოლეგების წაბაძვით, ქართველი მწერლები ბაზარში დახლებთან დადგებით და ივაჭრებთ?

— რატომაც არა, თუკი საკუთარი ლექსებისა და მოთხრობების გასაღებით რაღაც ფულს გავაკეთებთ და გაჭირვებიდან ამოვძვრებით, ამაში რა არის დასაძრახისი?

— ან ამოძვრებით ან არა. შენ, ეტყობა, ბაზრის არსში ვერ ერკვევი. ის ვიღაც ბიზნესმენი აქ ბაზარს იმიტომ ხსნის, რომ პირველ რიგში თავად უნდა ნახოს მოგება და შემდეგ შენნაირმა მწერლებმა.

— ეგ როგორ?

— მარტივად. გაგიზომავს იმ დახლის ფართობს, სადაც უნდა ივაჭრო, დაგიწესებს დღიურ გადასახადს და აქეთ შენგან დაიწყებს ფულის ამოქაჩვას.

— მივართმევ კიდეც! მეტი არ აუდგეს გვერდები, მე ლექსები ვწერო და იმან ფულები აკეთოს?

— ასეა, ძამა, ბაზარი, გინდა ის ხილბოსტნეულისა იყოს და გინდა კიდევ პროზა-პოეზიისა, იქიდან ყველამ თავის წილი ფული უნდა აკეთოს.

— მაშინ, თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, რასაც ლაპარაკობ, ისიც გეცოდინება, მე რა უნდა მოვიმოქმედო, რომ წიგნის ბაზრიდან ჩემი წილი ფული დავითრიო?

— ჩემი აზრით, ამისთვის წიგნით ვაჭრობას უნდა მოეშვა და საგაზეთო სტატიების გამოქვეყნებაზე გადახვიდე, თანაც საწერად მიმწოლი თემები შეარჩიო.

— მართალი ხარ, — მოიწონა მწერალმა, — მივაგენი რაც უნდა ვაკეთო. ახლა თუ ვინმეს აწვებიან ქვეყანაში, იმათგან ყველაზე დაჩაგრული საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილია. ავდგები, მის მხარდასაჭერ სტატიებს გამოვაცხობ, იქით დაჩაგრულს მივეხმარები და აქეთ — საკუთარ თავს.

— გგონია, რომ პაპუაშვილი...

— რატომაც არა, — შეაწყვეტინა მწერალმა, — ამხელა ინსტიტუციის თავკაცს თუ ზეწოლის მარწუხებიდან ვიხსნი, ისე როგორ დაგლახავდება, ერთი ათასი დოლარი მაინც არ გადმომიგდოს. ეს ფული იმისთვის არაფერია, მე კი შავი დედალივით გავკეთდები.

— გეკუთვნის კიდეც, — მოუწონა ჩანაფიქრი ალეკომ, — საწყალმა კონსტიტუციონალისტმა სად აღარ ირბინა, იქით პრეზიდენტს უწია ყელი, აქეთ — პრემიერს, მიშველეთ მახრჩობენო, მაგრამ ვერაფერს გახდა.

— პრეზიდენტი თავად არის საშველი, ძამა და პაპუაშვილს როგორ მიეხმარებოდა?

— საწყალი მარგველა, შენც გეცოდება, არა?

— როგორ არ შემეცოდება, შეკაცო, აქაოდა პლასტელინიაო, სიძე ისე გაუჩხრიკეს, სასამართლოს ნებართვაც არ აუღიათ.

— ეგ ბიჭი თურმე თავად მარგველასი კი არა, მისი კნეინის სიძე ყოფილა, თანაც არარეგისტრირებული.

— ეტყობა, მაგიტომაც დაიმორცხვა პრეზიდენტმა და ვიდრე პაპუაშვილმა არ ატეხა განგაში, საკუთარ ოჯახზე ზეწოლა ვერ გაამხილა.

— ჰო, რა თქმა უნდა, მაშინაც კი როცა ტელევიზორში დაიჩივლა, თურმე ნასვამი ყოფილა, თორემ ფხიზელი ამას ვერ გაბედავდა. აკი მანანა კობახიძემ ამ მოტივით გაამართლა კიდეც: რა ქნას, უყვარს ძლიერი სპირტიანი სასმელების ყლურწვა და ქვეყნის მთავარსარდლისთვის შეუფერებელი განცხადებების გაკეთება ეპატიებაო. როცა ფხიზელი იყო, აკი პრინციპულობაც გვაჩვენა — ერთნაირსქესიანთა ქორწინების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება იმ დროისთვის გადადო, როცა ქვეყანა ტერიტორიულ მთლიანობას დაიბრუნებს(!).

— მარგველა გასაგებია, იმ მომენტში ნასვამი იყო და გარისკა, მაგრამ კანონების ყულაბაში მჯდომ პაპუაშვილს რაღა ღმერთი გაუწყრა?

— მეც ეგ არ მიკვირს? მაგას თუ ჭკუა ამძიმებდა, საჭორაოდ (კახი კალაძემ ასე მონათლა) პრეზიდენტთან და პრემიერთან კი არ უნდა გაქცეულიყო, საკონსულტაციოდ პირველ რიგში მიშა ოღრაშს უნდა ხლებოდა ოდესაში და შემდეგ ამერიკის ელჩთან მოეთხოვა აუდიენცია (საქართველოში ზეწოლის საკითხებს ხომ პირადად იან კელი კურირებს!).

— მართალი ხარ, მაგრამ მაგათთვის ჭკუის დარიგება არ ივარგებს, — შენიშნა ალეკომ, — თუ სარგებელი გინდა ნახო, აჯობებს ისევ წაეფოლორცო.

— რატომ უნდა წავეფოლორცო, პრეზიდენტთან და მოსამართლესთან რა მაქვს საფოლორცო?

— თვითონ ფოლორცები არიან და იმიტომ, სამართალიც ასეთი აქვთ — ფოლორცა ფარისევლური.

— ვის ეფოლორცებიან, ვერ მეტყვი?

— მე რატომ უნდა გითხრა, თავად მაგათ ჰკითხე. მართალია საგულდაგულოდ მალავენ, მაგრამ მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ჯიშით და ჯილაგით ნაცების მოდგმისანი არიან.

რამდენად შეძლებს ყველასთვის კარგად უცნობი მწერალი ნაცების წაფოლორცებას, ამას იმ სტატიიდან შევიტყობთ, რომელსაც ავტორი უახლოეს დღეებში ქართულ პრესაში გამოაქვეყნებს.

ოთარ ჩართოლანი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

◎ არდავიწყება

ფუძეძლიერი მეგობრის მოსაგონარი



მისი გვარის ძირი გურიიდან მოდიოდა. მამამისი, ბატონი ილია, ახალგაზრდა სპეციალისტი სიღნაღში გაუნაწილებიათ და ვლადიმერ სიმონიშვილის ბავშვობამ კახეთის ამ ულამაზეს და ძირძველ ქალაქში გაიარა. „სიმონეიშვილებსო“ — ასე აწერდა გურული ბებია წერილებს, სიღნაღში რომ გვიგზავნიდა. სიცოცხლის ბოლომდე ერთგული და მოსიყვარულე დარჩა თავისი სიღნაღ-ქალაქის, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტობიდან მოყოლებული თბილისში დასახლდა, დაოჯახდა, ტყუპი ქალვაჟი და მათი მონაგარი — თავისი საფიცარი შვილიშვილები დააფრთიანა და... ნაღდ თბილისელადაც ითვლებოდა.

ცოცხალი ენციკლოპედია იყო „ჩვენი ილიჩი“, განსწავლული, დედაუნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველი პლეადის წარმომადგენელი, სიცოცხლის ბოლომდე თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, პროფესიონალი, მართლაც კაცობის ეტალონი. „დიდთან დიდი და პატარასთან პატარაო“, სწორედ მასზე იყო ნათქვამი და ამის მაგალითად ისიც კმაროდა, რომ არამარტო კოლეგებში, არამედ მრავალრიცხოვან სამეგობროშიც სხვადასხვა ასაკის მეგობრები ჰყავდა, რომლებიც დღესაც სიყვარულით იხსენებენ მას. კახური სიდინჯითა და გურული ენამოსწრებულობით დაჯილდოებული ყველასთან გამონახავდა საერთო ენას, შიგადაშიგ ფიცხიც იყო და პირდაპირი — ღალატსა და ორგულობას ვერ იტანდა.

დღეს „ჩვენი ილიჩის“ დაბადების დღეა. 85 წლისა შესრულდებოდა, ორი წლის წინათ, უკურნებელ სენს რომ არ დაემარცხებინა ეს სიცოცხლის მოყვარული და ხალისიანი კაცი. გილოცავთ „ილიჩ“, შენი საყვარელი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები, გაზეთისა, რომელსაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე ემსახურებოდი.

მამუკა ვაშაკიძე

ყველაზე მაღალბიუჯეტიანი საგზაო პროექტი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ხერგიანმა სამტრედია-გრიგოლეთის გზის 18.5-კილომეტრიანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

აღნიშნული პროექტი, დღემდე განხორციელებული საგზაო პროექტთა შორის, ყველაზე მაღალბიუჯეტიანია და მისი ღირებულება 254 მილიონ ლარს შეადგენს.

პროექტი ითვალისწინებს: 18.5-კილომეტრიანი, 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, 9 ხიდის, 3 სატრანსპორტო კვანძის, მიწისქვეშა გასასვლელების, საქონლის და საველე გასასვლელების მშენებლობას.

ამ ეტაპზე გზის საფუძვლის მოწყობისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის დასრულების შემდეგ, ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალი ინტენსივობის საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე, გაიზრდება სატრანსპორტო ნაკადების გამტარუნარიანობა და უსაფრთხოება.

სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მე-2 მონაკვეთი გურიის რეგიონში ქ. ლანჩხუთსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებს: ჯაპანას, ქვიანს, ნიგოითსა და ქვემო შუხუთს გაივლის. სამუშაოები 2018 წელს დასრულდება.

ნოტარიუსები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ

იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ გატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად სამი ნოტარიუსი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა: ორი ნოტარიუსი — სამსახურებრივი გულგრილობის, ხოლო ერთი — სამსახურებრივი გულგრილობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე.

გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ ნოტარიუსებმა, მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების შედეგად დაამოწმეს და გასცეს სანოტარო აქტები უძრავი ქონებების განკარგვის თაობაზე არასწორი მონაცემებით ისე, რომ სათანადოდ არ დაადგინეს სანოტარო აქტის მონაწილე პირთა უფლებამოსილება. ზემოაღნიშნული ქმედებებით უძრავი ქონების მესაკუთრეებს მიადგათ დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

ამასთან, ერთ-ერთმა ნოტარიუსმა, რომლისთვისაც ცნობილი გახდა, რომ მის მიერ სანოტარო აქტის გაცემისას მოქალაქეს ჩადენილი ჰქონდა მძიმე დანაშაული — ყალბი სანოტარო აქტების გამოყენებით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის თაღლითურად დაუფლება, ზემოაღნიშნულის შესახებ არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს.

იარაღის არსენალი თავისი ნებით ჩააბარა

შსს-ს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს მეხუთე განყოფილებაში გორის რაიონის სოფელ ახალსოფლის მკვიდრმა, 1957 წელს დაბადებულმა ა. ა.-მ სხვადასხვა ტიპის საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით წარმოადგინა და ჩააბარა.



სულ ჩაბარებულია: „ეფ-1“-ის ტიპის 2 ხელყუმბარა, მსხვრევადი ხელყუმბარისთვის განკუთვნილი 1 ამფეთქი ფალია და სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 40 საბრძოლო ვაზნა. ექსპერტიზის დასკვნით, წარმოდგენილი საბრძოლო მასალა ვარგისია სროლისათვის.

ყურადღება!

„ლიტერატურული ბაზრობა“

თქვენი პუბლიკაცია ჩვენს გაზეთში!



„საქართველოს რესპუბლიკა“ იწყებს ნაწარმოებების მიღებას ახალ საინფორმაციო-სარეკლამო პროექტ „ლიტერატურულ ბაზრობაში“ მონაწილეობისათვის.

ვიწვევთ პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს, პუბლიცისტებს, რომლებსაც სურთ, გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, განათავსონ ინფორმაცია ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე. ასევე შესაძლებელია ობიექტური რეცენზიების პუბლიკაცია (რომლებიც არ შეიცავენ ესთეტიკურ შეფასებებს). ავტორებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა არა მხოლოდ გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამოცემის ფურცლებზე, არამედ მიიზიდონ გამომცემელთა და კრიტიკოსების ყურადღება, გახადონ უფრო მკაფიო თავიანთი ლიტერატურული ბედი.

„ლიტერატურული ბაზრობა“ გამოდის კომერციულ საფუძველზე, რაც ავტორს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვროს პუბლიკაციის მოცულობა.

შეფასებები მითითებულია „საქართველოს რესპუბლიკის“ საიტზე. ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს განყოფილებაში „ლიტერატურა“ ელექტრონულ მისამართზე sakresp@mail.ru შენიშვნით წერილის თემაზე „ლიტერატურული ბაზრობა“.

რა თქმა უნდა, მსურველებს შეუძლიათ, რომ რედაქციაშიც მობრძანდნენ.

ფასების ნიხრი ასეთია:

ლექსის სტრიქონი	– 1,5 ლარი,
მოთხრობის ერთი კომპიუტერული გვერდი	– 30 ლარი,
პიესის თითო კომპიუტერული გვერდი	– 20 ლარი,
პუბლიცისტური წერილის გვერდი	– 25 ლარი,
ცნობა ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე	– 15 ლარი,
რეცენზიის ერთი კომპიუტერული გვერდი	– 25 ლარი.

შემოსული ნაწარმოებები დაიბეჭდება ყოველ შაბათს სპეციალური ჩანართის სახით.

ალერსიანნი და ბედნიერნი

სენტიმენტური და ნაზი მამაკაცები თავიანთ თავშეკავებულ, კუშტ თანამოძმეებზე უფრო ბედნიერები არიან, ირწმუნებიან ამერიკელი ფსიქოლოგები. აღმოჩნდა, რომ მამაკაცები, რომლებიც თავიანთ მეუღლეებს ხშირად ეხვევიან და კოცნიან, ცოლ-ქმარობაში, რომ იტვიან, ბედს არ უჩივიან.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ მამაკაცები მარტოობას ქალებზე მეტად განიცდიან, თუმცა კი მათგან განსხვავებით ისინი უფრო ხშირად პრობლემის გადაჭრის ილუზიას იქმნიან, ვიდრე მას რეალურად წყვეტენ. ამასთან, მამაკაცების უმრავლესობა ქალებისგან ქვეცნობიერად ელის მხარდაჭერას, რაც ალერსითა და თანაგრძნობით გამოიხატება. ამიტომაცაა, რომ **მომფერებელი, ალერსიანი მეუღლეები, სხვებთან შედარებით, ქორწინებაში უფრო ბედნიერები არიან.**

აქედან გამომდინარე ფსიქოლოგებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ მამაკაცები არც იმდენად ვაჟკაცურები, ქალები კი არც იმდენად მგრძნობიარენი არიან, როგორც ეს მანამდე ითვლებოდა.

ანეკდოტები

წარწერა ფოტოზე: ზიან: მიშა 8. (8 წელი), ივანე ბ. (11 წელი), დავით (მკაცრი რეჟიმის 15 წელი). დგას: ბადრაგი.

* * *

რეპორტაჟი ფეხბურთის მატჩიდან: ... და აი, ჩვენი გუნდის საჯარიმო მოედანში შეიჭრა სტუმართა გუნდის ლიდერი... დარტყმა!... კიდევ დარტყმა!... კიდევ ორი... არა, სამი დარტყმა!... ჰო-ო-ო... ვერაფერს ვიტყვი... ასეთი ქოთი ჩვენს მეკარეს ჯერ არასდროს უგემია!...

* * *

ბერლინის გარეუბანში შემოდგომის გამჭოლი ქარი უბერავდა, მერე ქუდზე უცბათ წვეთი დაეცა. შტირლიცმა ზევით აიხედა და მაღლა ცაში წეროების გუნდი დაინახა, რომლებიც მწყობრად მიფრინავდნენ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. მოულოდნელად შტანდარტენფიურერმა ფრინველებს შორის დელგაპლანესისტის ეული სილუეტი შენიშნა.

— ეს უთუოდ მოსკოველი შემმოწმებელია! — გუმანით მიხვდა შტირლიცი.

* * *

განგაშის ზარების ჩამორეკვა ყოველთვის დაგვიანებულია. უმჯობესია წინასწარვე გამუდმებით სიფრთხილის ზანზალაკი აჟღარუნო.

* * *

დაძალები ჭორაობენ:

— მიმაჩნია, რომ სადილები ოჯახში მამაკაცმა უნდა აკეთოს. ჯერ ერთი, რომ ჩემ ქმარს გადასარევი ხელი აქვს, მეორეც კიდევ ის, რომ საშინელი ზარმაცი ვარ...

ფული

პრეზიდენტები და ლამაზმანები

ყველა ქვეყნის ეროვნული ვალუტის ბანკნოტებსა და მონეტებზე იქაური ღირსშესანიშნაობები, გამოჩენილი პიროვნებები, ბუნების ულამაზესი ხედები, არქიტექტურული ძეგლები და კიდევ მრავალი სხვა რამაა გამოსახული.

მწვანე კაცუნები

ჩვენში ლამის ბავშვებმაც იციან, რომ ამერიკული დოლარის სხვადასხვა ნომინალის ბანკნოტებზე ქვეყნის პრეზიდენტების პორტრეტებია გამოსახული. თუმცა კი არა ყველაზე: კერძოდ, 10-დოლარიან კუპიურაზე აღბეჭდილია ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ფინანსთა მინისტრი ალექსანდრე ჰამილტონი, ყველაზე პოპულარულ 100-დოლარიან ბანკნოტზე კი— ბენჯამენ ფრანკლინი. მიუხედავად იმისა, რომ ფრანკლინის ხელმოწერა დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას ახლავს, ქვეყნის პრეზიდენტი იგი არასდროს ყოფილა.

ევროპის სარკმელები

ევროკავშირის ბანკნოტების ცალ მხარეს ხიდებია დახატული (როგორც გაერთიანების სიმბოლო) მეორე მხარეს კი — ფანჯრები და კარები (როგორც გახსნილობის სიმბოლო), ევროს სხვადასხვა ნომინალის ბანკნოტები სხვადასხვა არქიტექტურულ სტილს წარმოადგენს.

სპილოები და პელიკანები

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფულის ნიშნებზე ქვეყნის ყველაზე ძლიერი და სახიფათო ცხოველები — მარტორქა, სპილო, ლომი, კამეჩი და ლეოპარდია გამოსახული.

კომორის კუნძულების ფრანკებს ლემურისა და იშვიათი თევზის ლატიმერიას გამოსახულება ამშვენებს, ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოს ბელიზის დოლარებზე სულაც მთელი ზოოპარკია თავმოყრილი — კუპიურებზე ნახავთ ტაპირს, სხვადასხვა ჯიშის მაიმუნს, ჭიანჭველაჭამიას და სხვ.

ლამაზი ძალები, კარგი გარეგნობის მამაკაცები

2015 წლის მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ბანკნოტად ახალზელანდიური 5-დოლარიანი ბანკნოტი აღიარეს. მასზე იქაური საქვეყნოდ ცნობილი ალპინისტის, ჯოომოლუნგმას პირველი დამპყრობის სერ ედმუნდ ჰილარის (უაღრესად მიმზიდველი გარეგნობის კაცის) და ქვეყნის უმაღლესი მწვერვალის გამოსახულებებია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველგვარი კონკურსის გარეშე, მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს კუპიურად ფრანგული წყნაროკეანური ფრანკია მიჩნეული, რომელიც საფრანგეთის ფარგლებს მიღმა ტერიტორიების ვალუტას წარმოადგენს. ამ წარმატებას ძალიან მარტივი ახსნა აქვს — ესაა ბუნების ზღაპრული ხედები და ულამაზესი აბორიგენი ქალები.

ჩინური ვალუტის — იუანის



ყველა ნომინალის კუპიურაზე მხოლოდ ერთი კაცია გამოსახული — ქვეყნის კომპარტიის ლეგენდარული გენერალური მდივანი მაო ძე-დენი. ფულის ნიშნების რევერსებზე კი ან ჩინეთის პეიზაჟები, ან ძველებური სასახლეებია აღბეჭდილი.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.322; ევრო - 2.618;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.011;
100 რუბლი - 3.643; თურქული ლირა - 0.793;
აზერბაიჯანული მანათი - 1.426;
1000 სომხური დრამი - 4.889.

ამინდი 18 აგვიტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +35
მთიანი რაიონები -	ღამე +12,	დღე +31
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +18,	დღე +33
მთიანი რაიონები -	ღამე +14,	დღე +31
თბილისი:	ღამე +22,	დღე +33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE